645
1966/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

დეკემბერი
№ 12 1966 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსთაველის პრემიის ლაურეატები



ნ. ს. ტიხონოვი



ნ. პ. ბაჟანი

„ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია-ო“, თქვა დიდმა შოთა რუსთაველმა. მოყვრის ძიება და მოყვრის დაფასება ოდითგანვე იცოდა ქართველმა კაცმა. მტერს მტრულად უტევდა, მაგრამ მოყვრისათვის სამასპინძლოდ მუდამ ხელთ ეპყრა ძმობის ფიალა. დიდი შოთას საიუბილეო დღეებში, კიდევ ერთხელ გახდა ნათელი მსოფლიოსათვის ქართველი ხალხის ეს დიდებული ტრადაცია. მრავალი მოყვარე ულოცავდა ჩვენს ერს ამ დიდებულ ზეიმს. ულოცავდა და ჩვენთან ერთად ხარობდა. ჩვენმა ხალხმა გულით შეიყვარა ის ადამიანები, რომელთაც ამაგი მიუძღვის ჩვენზე, აფასებს ჩვენს ქვეყანას, მის მშვენიერ აწმყოს და მდიდარ წარსულს... 25 ოქტომბერს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების რესპუბლიკურმა კომიტეტმა ორ ასეთ ადამიანს მიანიჭა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატობის საპატიო წოდება: ესენი არიან ნიკოლოზ პლატონის ძე ბაჟანი, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ უკრაინულ ენაზე თარგმნა და გააცნო ჩვენს მოძმე ერს და ნიკოლოზ სიმონის ძე ტიხონოვი, რომლის ლექსებიც, მიძღვნილი საქართველოსადმი, ესოდენ ძვირფასია ქართველი მკითხველისათვის.



ფაბრიკის დირექტორი ლილი ჩიქვანია

საქართველოს ქალი
დეკემბერი
№ 12 1966 წ.

10.053

# დღეში ცხრაათასი მეტრი

რეპორტაჟი

როგორც კი მოსამზადებელი საამქროს ზღურბლს გადასცილდებით, პირველი, ვინც წინ გხვდებათ და მასპინძლობას გიწევთ, არის რიტმი. იგი უამრავი მბრუნავი შულოების, კოჭებისა და მასრების თრთოლვისაგან შედგება.

საამქროში შესულს ეს თითქოსდა გასხეულებული რიტმი თავის განწყობილებას გადაგდებთ, თავისი ბრუნვის ორბიტაში მოგაქცევთ და გაგიტაცებთ.

თქვენც გაჰყვებით დაზგების რიგებს ხან პირდაპირ, ხან გვერდზე. გზაჯვარედინებივით ხვდებიან მწკრივები ერთმანეთს და იყრებიან. ამ გზაჯვარედინებზე ადამიანებს ე მებით და გესალმებიან.

სახვევ დაზგებთან ქალები დგანან, რომელთა საოცრად გაწაფულ თვალსა და ყურს არ გამორჩებათ თმაზე უწვრილესი ძაფის გაწყვეტა, იოტისოდენა ცვლილება რიტმისა. დიდ შრიალს, რომელიც ამ მაღალჭერიანი დარბაზის ექვსივე წიბოს თანაბრად ეხლება, ირეკლება და შუაგულისაკენ ბრუნდება, ერთი მასრის ხმაც რომ დააკლდეს, საცნაური ხდება და დაოსტატებული თითები თითქოს თავისთავად, თვალის დახამხამების უმალ პოულობენ ძაფის ბოლოებს და კვანძავენ. დადუმებული შულო და მასრა კვლავ თავაწყვეტილი სისწრაფით აბრუნდება და საამქროში ისევ სრული ჰარმონია ისადგურებს.

— მე თქვენ გაგაცნობთ ამ საამქროში ყველაზე პატარა და ყველაზე მარჯვე ქალიშვილს ვენერა ბახტაძეს,—გვითხრა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ თინა ბეგაშვილმა და წინ გაგვიძღვა.

დაზგასთან მოცინარი გოგონა იდგა. კომკავშირელია ვენერა. საშუალო სკოლა მშობლიურ სოფელში ხოვლეში დაამთავრა. ხუთი წელია სახვევში მუშაობს. იმთავითვე საუკეთესო დაზგა ჩააბარეს, მეტად გონიერია მისი მანქანა, ზუსტი და მოხერხებული.

საქსელავ დაზგებზე აბრეშუმის ფერადი ქსელი გაწოლილა. ცვლის უფროსი სოფიო მთიულიშვილი გაცნობთ ადამიანებისა და დაზგების მუშაობას. ისინი არასოდეს ღალატობენ საქმეს და საქსოვი საამქროსთვის მუდამ მზადა აქვთ საჭირო რაოდენობის ნაირნაირი ქსელი. ბევრი მქსელავი, ისევე როგორც ვენერა თედეშვილი, გეგმას გადაჭარბებით ასრულებს.



ლ. ლაგვილავა

წუნი აქ საერთოდ წარმოუდგენელია. ჯერ საკუთარი სინდისი არ მისცემთ ამის ნებას, მერე კიდევ, აქ მოფუსფუსე დესინატორები.

კაცმა რომ თქვას, თავიდათავი ისინი არიან, ისინი შუამდგომლობენ მხატვარსა და საამქროებს შორის და თვალყურს ადევნებენ მათზე „გაპიროვნებულ" ქსოვილს, თვით უკანასკნელ საწუნმდებლო დაზგაზე მოხვედრამდე.

დახატავს მხატვარი ამა თუ იმ სახეს და გადასცემს დესინატორს. დესინატორი დაჯდება და რამდენიმე ვარაუდს მიუყენებს. რა მასალის, რა ფერის, რა ხლართის, რა სიმკვრივის, რა სიმსხოს ძაფი მოუხდება მავანსა და მავან ნახატს; შერჩევის შემდეგ გაანგარიშებანი კვლავ მხატვარს უბრუნდება, რომელსაც იგი მასშტაბით გადააქვს კანვისებურად დახაზულ ქაღალდზე. უჯრების თითოეული ხაზი ძაფს შეესაბამება, საქსელისას თუ მისაქსელისას. ნახატში სახე უმოწყალოდ დიდდება, ასე რომ სულ ათ კვადრატულსანტიმეტრიან ქსოვილზე გადასატანი სახე მთელ კანვიან დაფას იჭერს. ამგვარად დამუშავებული ნიმუში ისევ დესინატორს უბრუნდება, რომელიც ამჯერად ნაირ-ნაირ საქსოვ ხლართებს არჩევს და მუყაოს თარგზე გადასატანად სახეს საჩხვლეტ განყოფილებაში აგზავნის.

მერე, ერთი მხრივ, ქსელის გაწყობას ადევნებს თვალყურს, მეორე მხრივ, თარგის გამოყვანას, და როცა ყველაფერი მომთავრდება და ქსელიც და თარგიც საქსოვ საამქროში თავს მოიყრის, დესინატორი ახლა მქსოველებს მიაკითხავს. ქსოვილის პირველი ნიმუში ჯერ საერთო სამსჯავროს გაივლის და მხოლოდ შემდეგ გადაეცემა მასობრივი გამოშვებისათვის.

299 დაზგა გუგუნებს საქსოვ საამქროში.

ქსოვილები სხვადასხვაგვარია: შტაპელის, ხელოვნური აბრეშუმის, ელასტიკური ძაფის, უჯრედებიანი, სახეებიანი, საკაბეები, სასაბნეები, ფეხსაცმლის საპირეები, საფარდეები...

ორგვარი დაზგები დგას აქ — კარეტკული და ჟაკარდული.

კარეტკული დაზგა უჯრედებიან ქსოვილებს ქსოვს და ისეთსავე მარტივ ყაიდაზეა გაწყობილი, როგორც წინანდელი შინაური დაზგები. დაზოლილ ქსელს ასევე ზოლა-ზოლად მიესხმის ხან ორფერი, ხან სამი, ხანაც ოთხი. ზოგი ზოლი ორიოდე ძაფისაგან შედგება მხოლოდ, ზოგი ორი თითის სიმსხოც იქნება — გააჩნია სახეს.

ჟაკარდი რთულად იქსოვება. მას და მხოლოდ მას სჭირდება ესოდენი ზრუნვა მხატვრებისა. კარეტკულ დაზგაზე ქსოვილების გამოყვანას დესინატორიც კარგად ართმევს თავს. უჯრების დალაგება და ურთიერთშეხამება საძნელო არაა. დგიმებში ადვილად შედის ქსელი, სავარცხელიც ყოველგვარი შუამავლის გარეშე მიმორბის მარჯვნიდან მარცხნივ და მარცხნიდან მარჯვნივ.

ჟაკარდული აბრეშუმის საქსოვი დაზგები კი მუყაოს თარგზე გამოყვანილ ნაჩხვლეტების მიხედვით აწესრიგებენ ძაფების მიმართულებას. თარგი ვეებაა, დაზგის მთელ სიმაღლეზეა დაკიდული და გაუთავებლად ირთის.

და მთელი ეს საამქროსეული გუგუნი ტყვიასავით გასროლილი მაქოების კაკუნი, ფერად-ფერად აბრეშუმზე ასხმული დგიმების სხლტომა, სავარცხლების ხათქა-ხუთქი, ძრავების ზრიალი, თარგების ცახცახი, ადამიანების მისვლა-მოსვლა, ძახილი, ღიმილი, თითების გაელვება აბრეშუმის ქსელში... ქმნიან აბრეშუმის ნაირნაირ ქსოვილს — კუბოკრულს, ფოთლებიანს, ყვავილებიანს, ორნამენტებიანს, სულ ცხრაათასამდე მეტრს დღეში.

ამ ცხრაათასში მთავარი წილი მოწინავეთ ეკუთვნით: ჟუჟუნა ბერუაშვილს, ვარა ჭედილაშვილს, ნაზი ჯინჭარაძეს, ჟუჟუნა გოგიშვილს, ანა ბასოშვილს და სხვებს. ისინი ორნაირად აჭარბებენ გარჯაში: სამ-სამ, ოთხ-ოთხ დაზგას ემსახურებიან და თანაც დაგეგმილზე მეტს აქსოვინებენ თითოეულს. ამას ისინი უდიდესი მუყაითობისა და მონდომების წყალობით ახერხებენ.

ცხრაათასივე მეტრი საბოლოოდ მიმღებ განყოფილებაში იყრის თავს, ოთხ საწუნმდებლო დაზგაზე ხელახლა იხსნება აბრეშუმის ხვეული თოფები, გულდასმით კონტროლდება, იხვეწება და მომხმარებლისაკენ გზა ელოცება „ტაფტას", „დამასეს", „ერას".

ეს დღესდღეობით.

სახვალიოდ ახალი დასახელების ქსოვილები გაჩნდება, სულ უმჯობესი და უმჯობესი. ის, რაც გაისად ფართოდ გამოიფინება ქსოვილების მაღაზიებში, ამჟამად ერთი ხელისდადება ნიმუშის სახით თავისსავე ორფურცლიან დახასიათებას დართვია და დესინატორების უჯრებში ინახება. მათ უკვე მიიღეს საგზური სამხატვრო საბჭოს სხდომაზე და საწარმოო გეგმაში ჩასმას ელოდებიან.

ძალზე ლამაზი ქსოვილების ავტორია დესინატორი ლიანა ლაგვილავა. მის მიერ შექმნილი საშემოდგომო საკაბე, ალბათ, ბევრს მოაწონებს თავს. ლურჯ და თეთრ ზოლებში ამოყვანილ შავ და ნაცრისფერ ორნამენტებს კარგად ეწყობა ე. წ. მოცულობითი ნართი. ასე ჰქვია, როცა სადა ძაფზე ბუსუსებიანი ძაფია შემოხვეული. ლიანას მისთვის ისე მონდომებით შეურჩევია ხლართები, რომ ნაქარგისებური სახე მიუცია. ჯერჯერობით საკაბე უსახელოა. აღინიშნება არტიკულით 16570.

ცისანა დათაშვილს კი აცეტატისა და შტაპელური შვინდისფერი და მუქყავისფერი ნართების მონაცვლეობით მოსაწონი საფარდეები შეუქმნია. ქეთევან დოლიძეს, კარეტკული დაზგის დესინატორს, ძაფისაგან „ელასტიკა", ჭიმვადი ქსოვილი გამოუყვანია. ელასტიურობა და ზოლების ლამაზი მონაცვლეობა მას მეტად მომხიბვლელ საბანაო საკოსტუმე ქსოვილად ხდის.

ვისკოზური ნართით მოაქსოვინა ცისანამ ულამაზესი საბნისპირები. ალაგ-ალაგ ისე გრძელი ხლართები შეურჩია, რომ ნაქარგი ეგონება ადამიანს.

თბილისის ჟაკარდული აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ხვალინდელი დღე ახალგაზრდა დესინატორებს მაგიდის უჯრებში ჩაუკეტიათ. მაგიდებზე კი უახლოესი ვარაუდები და გაანგარიშებები გაუფენიათ, რაც მომავალი წლისთვის არის გათვალისწინებული.

ერთ მშვენიერ დღეს ისინი წესისამებრ თავს მოიყრიან ფაბრიკის დირექტორის ლილი ჩიქვანაიას მაგიდაზე, გადაათვალიერებს მათ ლილი, აარჩევს, ყდაში ჩააწყობს და სამხატვრო საბჭოს სხდომაზე გაიტანს დასამტკიცებლად.

საამქროებში კი განუწყვეტლივ იბრუნებენ შულოები, იცახცახებენ მუყაოს თარგები, ირაკუნებენ მაქოები, იჭრიალებენ ლვედები.

ეთერ წერეთელი

ვ. ჭედილაშვილი



ელექტრონული ბიბლიოთეკა

გურამ დოჩანაშვილი



მხატვარი დ. ერისთავი

მოთხრობა

დიმიტრი ძალიან მაღალი კაცი იყო, თანაც ზომაზე გრძელი შინელი ეცვა, ჩექმებიც უპრიალებდა და გამვლელთა ყურადღებას იმსახურებდა. ქუჩებში ამაყად, გამართული დაიარებოდა, თანაც მხრებს ისე ძალდაუტანებლად არხევდა, რომ შურიან ადამიანს გული ჩაეთუთქებოდა.

გამვლელები ამსიმაღლე კაცს ყოველთვის ათვალიერებდნენ და დიმიტრიც შეჩვეული იყო ამას, მაგრამ ერთი ქალი ისე შეაცქერდა, რომ, ცოტა არ იყოს, მოთმინებიდან გამოიყვანა. ქალმა დიმიტრის დანახვაზე ტუჩები მაგრად მოკუმა, ჯერ ბრაზიანად ახედ-დახედა და მერე თითქოს თვალებით უსაყვედურა: რაა, შე კაცო, ამხელა სიმაღლე რომ დაგითრევია, სხვას აღარ უნდოდაო?

ის ქალი ჯერ უკან მიჰყვებოდა დიმიტრის და თავდაპირველად ზურგიდან შეჭამა თვალებით, მერე გაუსწორდა, შემოტრიალდა დაე მაშინ შეხედა საყვედურით: „რაა, შე კაცო...“ ოთხიოდე ნაბიჯის შემდეგ ისევ მოუტრიალდა და ამჯერად სიბრალულით შეხედა: „რა შენი ბრალია, შე უბედურო, ამსიმაღლე რომ გაიზარდე“. სიბრალულს კიდევ აიტანდა დიმიტრი, მაგრამ ქალი მესამედ მოტრიალდა და ამჯერად მაღალმა კაცმა უეჭველი დაცინვა იგრძნო: „ამხელაზე რომ აწოწილხარ, წყალს ხომ არ გისხამდნენ ფეხებში, ა? ხი-ხი-ხი...“

დიმიტრიმ მოთმინება დაჰკარგა, გაბრაზდა და ნაბიჯს აშკარად მოუმატა. ქალს მიუახლოვდა და მიაძახა:

— რას იტყვი, დეიდა, როგორი ბიჭი ვარ, ჰა?

ის ქალი და დიმიტრი ტოლები იქნებოდნენ; დიმიტრიმ სიტყვა „დეიდა“ იმიტომ იხმარა, რომ ქალისთვის სამაგიერო გადაეხადა. ქალი შეკრთა და შიში რომ დაემალა, შეეცადა ჩაფიქრებული გამომეტყველება მიეღო, მაგრამ არ გამოუვიდა. დიმიტრის სახეზე არც ეტყობოდა, გაბრაზებული თუ იყო — უდარდელად იღიმებოდა, ისე მიაბიჯებდა, ვითომც არაფერი, მაგრამ თავის გამამწარებელს გესლიანად მისძახოდა: — რაზე მერიდები, მამიდა, ისე რავარი ბიჭი ვარ, ჰა, ბიცოლა?

ქალს ძალიან შეეშინდა და ისეთი უმწეო სახით გამოიხედა, რომ დიმიტრის მაშინვე გული მოულბა. მაგრამ დასამშვიდებლად ეს არ ეყოფოდა. იგი ეჭვიანი კაცი იყო და პირდაპირ აცოფებდა ის ამბავი, აშკარად რომ დასცინა ვიღაც ქალმა. ათასი ეჭვი აღეძრა თავისი გარეგნობის თაობაზე და ისე გაუფუჭდა გუნება, რომ სიარულისას მხრებს ძველებურად ველარ არხევდა. ჯერ გაურკვეველი მიმართულებით მიდიოდა.. უცებ რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, რაც მტკიცედ გადადგმულ ნაბიჯებში გამოიხატა. იარა, იარა და რამდენიმე წუთის შემდეგ სამსართულიანი სახლის წინ შეჩერდა, ულვაშზე თითი ჩამოისვა და ომახიანად შესძახა:

— ზინა!

დიმიტრი თავაწეული იდგა და მეორე სართულისაკენ იცქირებოდა, მესამე სართულიდან კი ვიღაც ქალმა გადმოიხედა, რომელსაც ალბათ „თინა“ ან „ნინა“ ერქვა, ყურადღებით დააცქერდა და თვალები მოჭუტა. გაუგებრობა რომ აეცილებინა, დიმიტრიმ გვერდზე მიიხედა, მერე ისევ ასწია თავი და შესძახა:

— ზინაიდა!

მესამესართულელი ოთახში შებრუნდა, სამაგიეროდ მეორე სართულის ფანჯარაში ქალის სახე გამოჩნდა. ქალს ისე გაეხარდა მისი დანახვა, რომ დაბნეულობისაგან ფანჯარა გააღო და უთხრა: — მობრძანდი, დიმიტრი, მობრძანდი...

— დაკეტე, შე ქალო, მაგ ფანჯარა, — თავდაჭერილი ალერსით მიმართა დიმიტრიმ, — თავი არ გაიციო, მე მაინც ფანჯრიდან ვერ შემოვალ და...

— მობრძანდი, მობრძანდი...

დიმიტრი დარბაისლურად აუყვა კიბეს. კარი ღია დახვდა, ქალს თავი გვერდზე გადაეწია და ისე შეჰყურებდა.

— რა კარგი ქენი, რომ გამოიარე...

— გამარჯობა, ზინა, — ხელი გაუწოდა სტუმარმა. ქალმა ხელი წინსაფარზე შეიმშრალა.

— აგი შინელი სად დავკიდო?..

— აგერ აქ, შენი ჭირიმე, დაბრძანდი.

დიმიტრიმ ხალათის ნაკეცები შეისწორა და სკამზე ჩამოჯდა. ქამარი ისე მაგრად ჰქონდა შემოჭერტყმული, რომ წელსა და ქამარს შუა ნეკიც არ ჩაეტეოდა. ქალი აღტაცებით შეჰყურებდა მის მხარ-ბეჭს.

— სხვა, როგორ ბრძანდებით, ზინაიდა ბატონო?

— გმადლობთ, ჩემო ბატონო, თავად როგორ გიკითხოთ...

— ვართ ნელ-ნელა.

ქალმა წინსაფარი მოიხსნა და თმაზე გადაისვა ხელი. მამაკაცმა გამომცდელად შეხედა და ქალი გაწითლდა. ორივემ კარგად იცოდა, რომ ზინას დიმიტრი უყვარდა. აგერ უკვე ოცი წელიწადი იქნებოდა, რაც ამ



პატარა ქალს, როგორც იტყვიან, „დიმიტრი გულში ჩაუვარდა“. ამ უთქმელ სიყვარულსაც ჰქონდა თავისი პატარა ისტორია. ერთხელ, როცა ახალგაზრდები იყვნენ, სოფელში ცეკვა-თამაში გაჩაღდა; ზინამ, როგორც იქნა, გაბედა და საცეკვაოდ გამოიწვია, დიმიტრიმ კი უარი უთხრა, რადგან შეეშინდა, სიმაღლეში ძალიან განვსხვავდებით და ხალხი დაგვცინებსო. იმ დღეს ზინას პირდაპირ ხალხის შუაგულში ტირილი აუვარდა და დიმიტრიმ სინდისის ქეჯნა იგრძნო, გვერდზე გავიდა და ქვას ფეხი დაარტყა. მესამე დღეს ზინას ძალიან თავაზიანად შეხვდა და ბოდიში მოუხადა. მერე თავისი საქციელის მიზეზიც აუხსნა. ზინამ სიყვარულით შეხედა და თან ძალიან დაწყდა გული — მიხვდა, რომ გარეგნობაში ასეთი თვალსაჩინო სხვაობა მის სიყვარულს არ გაახარებდა. უეცრად მიტრიალდა და შინისაკენ სირბილით გასწია. მას შემდეგ დიმიტრი ძალიან თავაზიანად და გულთბილად ექცეოდა ზინას; როცა ორივენი სკამებზე ისხდნენ, მათ შორის განსხვავება ნაკლებად იგრძნობოდა, ამ დროს მოსწონდა კიდეც ზინა, მაგრამ წამოდგებოდნენ თუ არა, მამაკაცს გუნება უფუჭდებოდა და ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, რადგან ქალსაც დაბნევას ატყობდა. ორი წელიწადი გავიდა, თვეში ერთხელ მაინც ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ სიყვარულზე სიტყვაც არ თქმულა, ამხანაგებივით იყვნენ. ორივენი თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად — ზინა ფოსტაში მუშაობდა, დიმიტრი კი სამხატვრო ტექნიკუმში საწყობის გამგედ მოეწყო. ქალი პრინციპულად არ თხოვდებოდა, დიმიტრიმ კი თავი ვერ მოაბა ცოლის თხოვას. ზინასთან სახლში დაიარებოდა, ქუჩაში კი...

ქუჩაში კი მხოლოდ ერთხელ გავიდნენ და დიმიტრის იმ დღეს ხულ ჭირის ოფლი ასხამდა სახეზე. ასე ეგონა, მთელი დედაქალაქი იმათ შესცქეროდა. იმ დღეს ქუჩაში რომ არ გასულიყვნენ, არ შეიძლებოდა — ქალმა ნარდში სანაძლეო მოუგო და სთხოვა, სადმე გავიაროთო. დიმიტრიმ ზოოპარკი ამოარჩია, იქ ნაკლები ხალხი იქნებაო. გამხიარულებულმა ზინამ გატაცებით დაათვალიერა ცხოველები, დიმიტრისათვის კი იმ წუთში სულ ერთი იყო ლომი და ვეფხვი. ქალმა მეორედ რომ შესთავაზა ნარდის თამაში, დიმიტრიმ ზრდილობიანად უარი უთხრა — ძალიან მინდა, ჩემო კარგო, მაგრამ მაჯა მტკივაო...

— სოფელში ხომ არ ყოფილხარ ამ დღეებში?

— არა, რატომ მკითხე?

— ისე.

— არა, არ ვყოფილვარ, ჩემო ზინა.

— როგორაა დედათქვენი, ხომ არაფერი აწუხებს?

— ეჰ, დაბერდა, ჩემო ზინა, დაბერდა საწყალი.

— კარგი ადამიანია ძალიან.

ქალი მოკუნტული იჯდა და მაგიდაზე შემთხვევით დარჩენილ წიგნს — აკაკი წერეთლის პირველ ტომს ყდაზე ხელს უსვამდა და უნებურად ეფერებოდა. დიმიტრი გამართული იჯდა და არწივივით გადაჰქონდა მზერა საგნიდან საგანზე. ქალმა აღარ იცოდა, რა ეკითხა, რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო. ჩამოვარდნილ სიჩუმეს მამაკაცი აინუნშიც არ აგდებდა, ქალზე კი გამანადგურებლად მოქმედებდა. ზინას საცოდაობას თითქოს მძიმე შინელმა ვეღარ გაუძლო — საკიდი გაწყდა და შინელი დოყლაპია მოკრივესავით ჩაიკეცა იატაკზე.

— უი, ღმერთო მომკალი, — ზინა წამოხტა და მსაჯივით მიირბინა წაქცეულთან, გეგონებოდა, წამების დათვლას მოჰყვებაო, მაგრამ ასე არ მოქცეულა, რა თქმა უნდა, — შინელი ასწია და მაგრად გაბერტყა. ერთი პირობა დიმიტრიც ფეხზე იდგა, მაგრამ ისევ დაჯდა.

— ახლავე დაგიკერებ, ახლავე.

— როგორ შეგაწუხოთ, ბატონო.

— რა შეწუხებაა, ჩემო ბატონო.

ზინამ ნემსში ძაფი გაუყარა და შინელს მაგრად მიაკერა საკიდი. ამ ხელსაქმემ ცოტათი დაამშვიდა; მერე საკუჭნაოში გავიდა, ხაჭაპური ტაფაზე გააცხელა და ალუბლის ლიქიორიც გამოიტანა. სტუმარს ფრთხილად გაუვსო ჭიქა და ხელსახოცი თეფშთან დადო. დიმიტრის სიამოვნებდა მისი ფაციფუცი, მშვენიერ გუნებაზე დადგა და სულ გადაავიწყდა ის წყენა, ქუჩაში გამვლელმა ქალმა რომ მიაყენა. ახლა იგი სავსებით დარწმუნებული იყო თავის თავში და ქუჩაში გასვლა მოუნდა. მასპინძელი ადღეგრძელა, ლიქიორი დალია და ხაჭაპურის პატარა ნაჭერი დააყოლა. მერე ზინას უთხრა, მეჩქარებაო, და გული დასწყვიტა. შინელი ჩაიცვა, ქუჩაში გამოვიდა. ამაყად გამართული მიაბიჯებდა, მხრებს ისე ლაღად არხევდა, რომ შურიან ადამიანს გული ჩაეთუთქებოდა.

ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის შესახვედრად

# გაგრის ციტრუსები

ლია კაკაბაძე.

გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობას, პირველს საქართველოში, მიენიჭა კომუნისტური შრომის საბჭოთა მეურნეობის წოდება. გასულ, 1965 წელს მეურნეობამ 62.272 მანეთის ზეგეგმითი მოგება მიიღო. მუშის გამომუშავების საშუალო ნორმა, რომელიც წლითიწლობით იზრდება, შარშან 111,3 პროცენტს შეადგენდა. წელს გაგრის მეციტრუსეები ვარაუდობენ 210 ათას მანეთამდე გაზარდონ მოგება.

* * *

ყველაზე უხუცესი წევრი გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში 72 წლის პრასკოვია პეტროვსკაიაა. მართალია, ის ამჟამად ციტრუსებს აღარ უვლის, მაგრამ როცა გაცხარებული მუშაობაა, ახალგაზრდების გვერდით დგას, დაკოჟრებულ, ბებერ ხელებს კვლავ საქმეს თხოვს. ამ ხელებმა კი ციტრუსებს 35 წელი შესწირა.

მხედველობა კარგი აქვს, მახსოვრობა შესანიშნავი. შეუძლია გიამბოთ დაწვრილებით, როგორი ნაბიჯებით მიდიოდა საქმე მეურნეობაში 35 წლის მანძილზე. მისი სიმხნევე და საზრიანობა ვერ გააუფერულა დიდმა ჯავრმა — ერთადერთი ვაჟი პირველი დაძახებისთანავე წავიდა ფრონტზე და თან გაჰყვა გზაზე მომლოდინე დედის თვალები.

ეს გზა სახლის წინ ჩადის. გზაზე დედა ყოველ გაზაფხულზე ყვავილებს რგავს და შვილს ახვედრებს. ოცი წელია ასეა ყოველ გაზაფხულზე და ოც წელიწადში ძალა დააკლდა მუხლებს. ახლა ისინი გზის პირას, სკამზე ისვენებენ. ბიჭი არ ჩანს, არ მოდის ვაჟკაცი და დედას თვალები გაუწყალდა ცქერით.

როცა მარტო რჩება, როცა ახლო მეზობლები მინდვრებში გადიან, პრასკოვია ივანოვნა სიხარულით უყურებს ეზოს წინ გაშენებულ ვაშლისა და მსხლის ხეებს, უყურებს და შვილს ახვედრებს ამბავს, რომელსაც მის ჩამოსვლამდე თავისთვის გონებაში შეათხზულ იმეორებს.

„აქ, ხომ გახსოვს, ჩემო ბიჭიკო, ლიმონის ხეები დატოვე. შენ გიყვარდა ეს ხეები იმიტომ, რომ ისინი შენსავით გავზარდე. მერე შენც წახვედი, შენს სანაცვლოდ ეს ხეები დამრჩნენ. მთელი ჩემი სიყვარული მათზე გადავიტანე. საიდანღაც მოვარდა ულმობელი ყინვა და გამიყინა ხეები. ბევრი ხე გაყინა იმ ზამთარს ყინვამ. შენ მაინც გელოდი და ხეებზე ჯავრს ამ მოლოდინით ვიქარვებდი. მაგრამ, ხომ იცი, რა ახლოა ზღვის ხეობა ჩვენგან. სანდო აღარ არის ზღვიდან მონაბერი ცივი ქარი. შეიძლება კიდევ გვიმუხთლოს ზამთარმა და ყინვა მოგვეპაროს. ციტრუსების ახალი ნერგები ხელახლად გავახარეთ, მაგრამ ციტრუსების გარდა ბლომად გავაშენეთ დაფნა, ხეხილი, ვენახი.

შენ არ ჩანხარ, მე ალბათ, შენს მოსვლამდე ვეღარ ვიცოცხლებ. არ მინდა მოვკვდე იმიტომ, რომ კვლავ შენ გელი. კიდევ იმიტომ, რომ ამ ადამიანებს, ირგვლივ რომ მახვევია, ჩემი სიცოცხლე უნდათ.

შენ არ იცნობ ოლია უსაჩოვას. შენ რომ წახვედი, მერე მოვიდა აქ იგი, ახალგაზრდა ლამაზი გოგო და ძუძუთა ბავშვი მოიყვანა. ოლია ახლა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. მისი მოვლილი ნაკვეთი რომ ნახო, გაგეხარდება. როგორც თვითონ არის კოპწია და სუფთა, ისე უვლის და ასუფთავებს ნარგავებს. ხასიათი ძალიან მშვიდი აქვს. ვერ ნახავ აღელვებულს. უხეშ, ზედმეტ სიტყვას მისგან ვერ გაიგონებ. თავდაჭერილია უზომოდ, კითხვა უყვარს ძალიან და ბევრ ახალ ამბებს მიყვება. დილაობით, სანამ სამუშაოდ წავიდოდეს, წყალს მომიმარაგებს, საჭმელს მომიტანს".

ასეთ ამბებს ახვედრებს პრასკოვია ივანოვნა შვილს, რომლის დაბრუნება დღესაც სჯერა. მას სწამს სასწაული იმიტომ, რომ სასწაული იყო მისი ცხოვრებაც.

16 წლის გოგო რუსეთიდან ახალგაზრდა ჩამოიყვანა ქალბატონს სოხუმში. აქ მოუსწრო რევოლუციამ. ქალბატონი და მისი ქმარი გაიქცნენ სოხუმიდან. პრასკოვია დარჩა თავისუფალ ქვეყანაში და თამბაქოს პლანტაციებში გავიდა სამუშაოდ. შემდეგ ის პარტიის წევრი გახდა. მალე, როგორც აქტიური მომუშავე, გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში გამოგზავნეს. შრომის ცეცხლი წაეკიდათ ქალებს, როცა ნახეს, როგორ შრომობდა



ო. უსაჩოვა



ტ. დიდენკო



რ. ვარდნიცა



მ. ბუჭაშვილი



მ. ხუციშვილი

სკოლაში ბევრი კარგი ბავშვი გაიზარდა. ბევრმა თამამად ჩააბარა გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში და ასახელა აღმზრდელები. სკოლაში სწავლება სათანადო სიმაღლეზე დგას. კარგი პედაგოგიური კოლექტივი ძალას არ იშურებს მათი შვილებისათვის, ვინც სახალხო დოვლათს ქმნის.

რაისაც მშვიდადაა და შვილი საიმედო აღმზრდელების ხელში ეგულება. მისი პატარა გოგო მეურნეობის ბაგაში გაიზარდა, იქ ისწავლა სიარული და ლაპარაკიც. ახლა ის საბავშვო ბაღის აღსაზრდელია და როცა რაია დილას ბავშვს ბაღში ტოვებს, სიამოვნებს სუფთა ოთახების, ნაირნაირი სათამაშოების ცქერა.



## საცხოვრებელი სახლები

მათი ბრიგადირი პრასკოვია ივანოვნა. მან ეთერზეთოვანი კულტურის — გერანის არნახული მოსავალი მოიყვანა. იგი მისი ბრიგადის წევრებთან ერთად პირველი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო. იქ პრასკოვია ივანოვნამ ვერცხლის მედალი მიიღო. შრომა გაგრძელდა სიბერემდე, სანამ არ უთხრეს, პერსონალური პენსიის მიღების დრო მოვიდაო.

რომ შეეკითხოთ ყოველ შემხვედრს მეურნეობაში, ვინ არიან მოწინავენი, ერთხმად დაგისახელებენ პირველი აგრორაიონის მეორე ბრიგადის წევრებს ტანია დიდენკოს, ოლია უსაჩოვას, მარია ბუგაშვილს, რაია ვარენიცას, მარო ხუციშვილს, იზოლდა კილასონიას.

ტანია დიდენკოს ოთახში ახალგაზრდა ქალვაჟის სურათი ჰკიდია — ახალგათხოვილი ტანია და მისი ქმარი კედლიდან იღიმებიან. ეს სურათი ტანიამ წალენჯიხაში დაკიდა პირველად. იქ გათხოვდა იგი, იქიდან წავიდა ქმარი ფრონტზე. იქ კრეფდა ტანია ჩაის, იქ მიიღო ჩაის მაღალი მოსავლისათვის სოციალისტური შრომის გმირობა.

სურათმა წალენჯიხიდან გაგრაში გადმოინაცვლა. ახალგაზრდობა, გატარებული უქმროდ, ბრძოლა მაღალი მოსავლისათვის, ერთადერთი ქალიშვილის გაბედნიერება, მეურნეობისათვის სოციალისტური შრომის საბჭოთა მეურნეობის წოდების მინიჭება — ასეთია მთავარი მომენტები ტანიას ცხოვრებაში.

სახეზე სიცოცხლის სიყვარული აწერია. ბრიგადაში ყველაზე მოწინავეა. ორმაგ ნორმას ასრულებს დღეში, მოდის საღამოს შინ და კიდევ არ გრძნობს თავს დაღლილად. ეს იმიტომ, რომ მექანიზაცია ფართოდაა დანერგილი მეურნეობაში. მართალია, ხელით შრომა ჯერ კიდევ წარმოებს, მაგალითად, თოხნისას, შეწამვლისას, მყნობისას, მაგრამ მანქანებმა მაინც ბევრად გააადვილეს საქმე.

წინათ შეწამვლისას აპარატები ეკიდათ ქალებს ზურგზე. აპარატი ცივი იყო და მძიმე. ახლა შეწამვლა მანქანებით ხდება, მხოლოდ ხელის შეშველება მაინც სჭირდება. რა შედარებაა, იმდენად გაიოლებულია სამუშაო. მექანიზირებულია რწყვა, სასუქების შეტანა, რიგთაშორის დამუშავება. ამიტომ მძიმე აღარ არის ციტრუსების მოვლა. ამიტომ მაღალია შრომის ნაყოფიერება. კიდევ უფრო გაადვილდება საქმე, როცა საბოლოოდ დამთავრდება დაფნის საჭრელი მანქანის შექმნა რაზეც ამჟამად მუშაობენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტში.

რაია ვარენიცას ორი პატარა გოგო საღამოს ეზოში ელოდება. ერთი პირველი კლასის მოსწავლეა და სკოლიდან ახლადმოსული ხვდება დედას. ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის საშუალო





## საბავშვო ბაღი

თვითონ რაია ბავშვს უფრო ჰგავს, ვიდრე ქმარშვილიან ქალს. მიამიტი თვალები აქვს და უანგაროდ, ბავშვურად ლაპარაკობს. მან იცის ქართული ენა და მის ლაპარაკს გურული კილო დაჰკრავს. რაია მახარაძეშია გაზრდილი. სკოლაში რომ სწავლობდა, დედასაც ეხმარებოდა ჩაის კრეფაში. ციტრუსების მოვლა კი მას შემდეგ ისწავლა, რაც გაგრის ციტრუსების მეურნეობის ტრაქტორისტზე გათხოვდა. მოწინავე მეციტრუსემ, რაია ვარენიცამ ნახევარი წლის სამუშაო გეგმა 135 პროცენტით შეასრულა.

გაგრის რაიონული საბჭოს დეპუტატს მარია ბუგაშვილს თავის პირდაპირ მოვალეობად მიაჩნია იზრუნოს მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საჭიროებისათვის. მაგრამ დეპუტატის საზრუნავი მას ხელს არ უშლის სანიმუშოდ მოუაროს ხეხილს, დაფნას, მანდარინს, ფორთოხალს, ლიმონს. წლის ყოველ დროს მარიას თავსაყრელი აქვს სამუშაო მინდვრად. ზამთრის მოახლოებას კი შიშით ხვდება; ვაითუ, ყინვამ ნარგავები დააზიანოსო“

მან იცის, რამდენჯერ დააზიანა ყინვამ ციტრუსები. იქ, სადაც ქარსაცავები იყო, მანდარინი და ფორთოხალი კვლავ გადარჩა, ზოგან ამ კულტურებმა კვლავ ახალი ძირები ამოიყარეს, მაგრამ ლიმონი დაიღუპა უწყალოდ. მეურნეობაში მაშინ გადაწყვიტეს, რომ დაღუპული ლიმონის ხარჯზე დავრგოთ დაფნა. შესანიშნავად იხარა კეთილშობილმა დაფნამ და ოთხმაგად აანაზღაურა მასზე დანახარჯი შრომა. გაიზარდა ხეხილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართობი, გაშენდა ვენახი. ამჟამად მეურნეობას 640 ჰექტარი ფართობიდან 140 ჰექტარზე აქვს ციტრუსები, 67 ჰექტარზე — დაფნა, 50 ჰექტარზე — ხეხილი, 5 ჰექტარზე — კაკლის ხეები. დაფნის კულტურამ დიდი მოგება მისცა მეურნეობას და მისი გაშენება ნამდვილად მიზანშეწონილი იყო.

ახლა ზამთრისათვის საგულდაგულოდ ემზადებიან მეციტრუსეები. მარია ბუგაშვილი ყოველწლიურად, ციტრუსების კრეფას რომ მორჩება, მერე სამმაგი მარლით ახვევს ხოლმე ხეებს. ციტრუსებისათვის თითოეულ ჰექტარზე ასეთი სამოსისათვის მეურნეობას 6.400 მანეთი ეხარჯებოდა. ახლა კი, როცა თერმომეტრი მინუს ერთ გრადუსს აჩვენებს, ლიმონის პლანტაციებში ინთება მოცისფერო ალი — ნარგავები თბება გაზის გამოყენებით. გაზმა საშუალება მისცა მეურნეობას შეფუთვის დანახარჯები 3200 მანეთამდე შეემცირებინა და შეემსუბუქებინა ხელით შრომა. გაზით გათბობის მეთოდი საბჭოთა კავშირში პირველად გაგრის საბჭოთა მეურნეობაში განხორციელდა. მეთოდი კიდევ უფრო გაუმჯობესდება გაზის ერთდროული ავტომატური ჩართვის გზით და მაშინ მეციტრუსეებს ზამთრის სულ არ შეეშინდებათ.

7 წლის მოსულია მეურნეობაში მარო ხუციშვილი და ახლა უკვე თანდათან იშორებს ახალმოსულის სახელს. თუმცა ჯერ კიდევ გულისტკივილამდე ახლობელია მისთვის მშობლიური ჭიათურა, ჭიათურის მთები და სოფლები, მაინც უკვე გაგრის საბჭოთა მეურნეობის მკვიდრად მიაჩნია თავი.

მეურნეობის ცენტრში დგას მშვენიერი კულტურის სახლი. მეურნეობის მუშებს ლამაზი საცხოვრებელი ბინები აქვთ. ბინების სახურავებზე ტელევიზორის ანტენებია აღმართული. აქვთ საშუალო სკოლა, ბიბლიოთეკა — ექვსი ათასი წიგნით, სასადილო, მაღაზია, საბავშვო ბაღი და ბავშვთა ბაგა, აბანო, აფთიაქი, ფოსტა. მუშათა საცხოვრებლები მარადმწვანე მცენარეებშია ჩაფლული. სულ ახლოს, ამ ასწლოვანი მწვანე ხეების იქით შავი ზღვაა გაწოლილი. ასეთია მარო ხუციშვილის ახალი საცხოვრებელი ადგილი, რომლის მკვიდრადაც იგი ახლა ითვლება. მეციტრუსეებს სულ მალე უფასო ექნებათ აბანო. შენდება 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი მუშებისათვის, ზღვისპირას გაიხსნება პანსიონატი მუშათა დასასვენებლად, იმატებს შრომითი შემოსავალი.

და როცა შავი ზღვიდან, გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობიდან, ოქროსფერ მანდარინებს, ფორთოხლებსა და ლიმონებს აგზავნიან, უკვე ახალი წლის ამოცანებზე ფიქრობენ მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი გენადი ქირია, პარტბიუროს მდივანი ვლადიმერ გამსახურდია, მთავარი აგრონომი ზურაბ შუბლაძე, უფროსი ეკონომისტი შალვა ქვარცხავა, აღრიცხვის ეკონომისტი ნატალია რადაევა, მთავარი ბუღალტერი სურენ აკოჯანიანი, ენტომოლოგი ციალა კობალაძე, აგრონომები კუკური ლომთაძე, გივი საყვარელიძე, ვალტერ ლეინჯილია, ბრიგადირები და ის მუშები, რომლებიც უშუალოდ წყვეტენ მოსავლის ბედს და რომლებსაც კომუნისტური შრომის საბჭოთა მეურნეობის საპატიო წოდების გამართლება აკისრიათ.

**დავით ასკურავა**

# ავტობუსი გაჩერდა

მოთხრობა

დათომ მარცხენა ხელი ჩასჭიდა მიკეცილ კარს. ის იყო, ფეხი საფეხურზე შედგა და ავტობუსი დაიძრა.

— მარჯვენა რომ მქონოდა, უფრო სხარტად ამოვიდოდი! — გაიფიქრა დათომ და გული შეეკუმშა. რვა წლის წინათ დაკარგა ხელი, მაინც ვერა და ვერ შეგუებია ამ ამბავს.

მართალია, სხვები ვერ ამჩნევენ მის ნაკლს, ისიც ზამთარში: კარგად მორგებული პროთეზი უკეთია და ხელთათმანებში აბა ვინ გაარჩევს მაჯაში წაგლეჯილ მარჯვენას?

ხალხმა ავტობუსში შესვლისთანავე თვალი შეავლო ახოვან ვაჟკაცს.

დათომ შუა ადგილზე თავისუფალი სკამი შეამჩნია და იქითკენ გაემართა. მგზავრებმა კვლავ გააყოლეს მოწონების თვალი.

სკამის მენახევრე ქალიშვილმაც ამოხედა. დათომაც შეაპარა მზერა. ქალიშვილის მაღალ ყელ-კისერს ვერ მალავდა თოვლივით თეთრი ქურქი. ქურქისა და ქალის ყელის სითეთრე თითქოს შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ქალისა სჯაბნიდა — სიცოცხლის, ვარდის ფერი დაჰკრავდა მის სითეთრეს.

„შავი ქურქი უნდა ეცვას, — გაიფიქრა დათომ. — თეთრს უფრო აამეტყველებდა შავი ფონი".

მერე ქალის გაფრენილ წარბებსა და გრძელ წამწამებზე გადაიტანა თვალი.

დათომ ხელებზე დახედა ქალს, გამჭვირვალე ხელთათმანებში გარკვევით მოჩანდა ათივე ჩამოთლილი თითი,

„არც ერთი ბეჭედი, ესე იგი გაუთხოვარია!" — დაასკვნა დათომ. მისი აზრით, ყველა გათხოვილ ან დანიშნულ ქალს ბეჭედი უნდა ეკეთოს.

„რაკი ასეა, არც შეყვარებული ეყოლება! — ფიქრებს გაედევნა ყმაწვილი, — ასეთები ნაკლებად შეიყვარებენ ვისმეს, გულგოროზები არიან".

ქალის დარცხვენილი მზერაც დაიჭირა დათომ და მაშინ თითქოს პირველად იგრძნო, სად ჰქონდა გული. უცებ აილეწა.

ქალმა კვლავ შემოხედა და დათომ სუსტი ღიმილიც შენიშნა მის მწიფეშინდის ფერ ბაგეებზე.

თვითონაც გაიღიმა დათომ. მგზავრებსაც გაეღიმათ, ზოგმა კბილებიც გამოაჩინა. რალაც გაეხარდა ხალხს. სითბოსავით ჩუმი და საამო იყო ეს სიხარული.

— დათოს გაუმარჯოს! — დათომ აიხედა, ხმითაც იცნო, ნუგზარი იყო.

— ო, მედეა, შენც აქ ყოფილხარ! — ახლა ქალიშვილს მიესალმა ნუგზარი.

ქალიშვილს უფრო თეთრი გაუხდა ქურქი. დათოსაც შეუფაკლდა ლოყები.

— თქვენ არ იცნობთ ერთმანეთს? — ახლა წინიდან დაუდგა ნუგზარი. — გაიცანით, ორთავე მხრიდან ჩემი მეგობარი!

დათომ დაუფიქრებლად გაუწოდა მარჯვენა. გაუწოდა და შეკრთა, ქალს გადახედა. ახლა ქალის სითეთრე სჯაბნიდა ქურქისას.

„კარგია, რომ თეთრი ქურქი აცვია! — გაიფიქრა დათომ. — სხვა ვერ შენიშნავს".

— მაპატიეთ, აქ უნდა ჩავიდე! — წაიჩურჩულა ქალმა.

ავტობუსი გაჩერდა.

# ლაბორატორიაში მუშაობენ მეცნიერები



ზინაიდა თოფურია



მარიამ სულაძე და მარიამ ბელიაევა

მთები განსაკუთრებით მასპინძლობენ გეოლოგებს — მიწის წიაღის მესაიდუმლეებსა და მზვერავებს, რომლებსაც მისი შინაგანი სამყარო აინტერესებთ. ისინი ჯერ მთის მკერდს ბურღავენ ჭაბურღილებით, და როცა აღმოჩნდება ძვირფასი მადანი, განსაზღვრავენ მადნის გეოლოგიურ და სამრეწველო მარაგს. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიურად ხელსაყრელია მისი დამუშავება, ხსნიან მაღაროს, შახტს ან კარიერს. რაც უნდა სუფთად ამოიღო მადანი მიწის წიაღიდან, მას მაინც მოჰყვება ფუჭი ქანი ან სხვა მინარევი. ამიტომ მონგრეული წიაღისეული საჭიროებს გამდიდრებას, სხვა მინარევებისაგან სასარგებლო კომპონენტის გამოყოფას. ბუნებაში ხომ სუფთა სახით იშვიათად გვხვდება მინერალი. ამიტომაა, რომ ღარიბი მადნის გამდიდრებას დიდი ყურადღება ექცევა. გამდიდრება ხდება გამამდიდრებელ ფაბრიკებში. გამდიდრების ერთ-ერთი ხერხია ფლოტაცია. ამ პროცესის დროს მადნის მარცვლების ზედაპირზე სხვადასხვა რეაგენტების ფიზიკურ-ქიმიური ზემოქმედების საშუალებით მიიღებენ სუფთა მინერალს.

ამ მეტად რთულ და საჭირო საკითხებს მეცნიერულად სწავლობს და ამუშავებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების ლაბორატორია, რომელსაც ხელმძღვანელობს ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი თამარ გოგიტიძე.

ამ ლაბორატორიაში უმეტესად ქალები მუშაობენ. ალბათ იმიტომ, რომ განსაკუთრებული სიფაქიზე, მზრუნველობა და სიზუსტეა საჭირო ცდების ჩასატარებლად. აქ წყდება ტყიბულისა და ტყვარჩელის ნახშირების, ქვაისის ტყვია-თუთიის, ჩორდისა და აფშრის ბარიტის, ჭიათურის მანგანუმის შლამების გამდიდრებისა და სხვა საკითხები.

როგორც პრაქტიკამ კარგა ხანია გვიჩვენა, ნახშირი საწვავის გარდა სხვა მიზნებისთვისაც გამოიყენება. მისი დაკოქსვის დროს კოქსთან ერთად მიიღება გაზები და თხევადი პროდუქტები, რომელთა შემდგომი გადამუშავება მრავალ სასარგებლო პროდუქტს იძლევა.

დიდი ხანია ამ ლაბორატორიაში მუშავდება ლიპტობიოლითური ნახშირებიდან პლასტმასებისათვის საჭირო ფისოვანი პროდუქტების მიღების ეფექტური ხერხი. ფისოვანი პროდუქტები ხომ პლასტმასის კაზმის ერთ-ერთი აუცილებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზელი კომპონენტია. ლიპტობიოლითური ნახშირების გამდიდრებას აქ აწარმოებენ ჰიდროციკლონზე. დანადგარში ცენტრიდანული ძალებით წარმოებს ფისოვანი მასალისა და ნახშირის განცალკევება მათი კუთრი წონების სხვადასხვაობის ხარჯზე წყლის ვამოყენებით. მძიმე მინარევები წყალში ილექება, შედარებით მსუბუქი, ე. ი. ფისოვანი მასალა კი ზემოთ ამოტივტივდება. ლიპტობიოლითური ნახშირების ფლოტაციისათვის შეარჩიეს იაფი და არადეფიციტური რეაგენტები. ლაბორატორია თამარ გოგიტიძის ხელმძღვანელობით სწავლობს ჭიათურის მანგანუმის შლამების თეორიის საკითხებს.

ამ საინტერესო თემაზე მუშაობს ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი ზინაიდა თოფურია. ზინაიდა დაინტერესდა მადნების გამდიდრების საკითხებით და თავის მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მეცნიერულად წარმართავს საქმეს. წინათ იგი მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომელი იყო, სადაც ამუშავებდა მყარი სხეულების მიერ სხვადასხვა ნივთიერებათა ორთქლის შთანთქმის უნარიანობას. მერე კი გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში უფრო პრაქტიკული ხასიათის საკითხის შესწავლა დაიწყო. ეს არის ჭიათურის მანგანუმის ღარიბი (კარბონატული) მადნების ქიმიური გამდიდრების საკითხი.

ლაბორატორიის ინჟინერმა მარიამ სულაძემ სხვებთან ერთად საფუძვლიანად შეისწავლა ქვაისის ტყვია-თუთიის მადნის თვისებები, მისი გამდიდრების უფრო ეფექტური და ეკონომიური ხერხების შესამუშავებლად. ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა და ანალიზების საფუძველზე წამოაყენეს ახალი ვარიანტი — ოუსთავის კაპროლაქტამის წარმოების ნარჩენები გამოეყენებინათ ტყვია-თუთიის გამდიდრების ტექნოლოგიაში ერთ-ერთ რეაგენტად. უნდა აღინიშნოს, რომ ქვაისის გამამდიდრებელ ფაბრიკაში იყენებდნენ ისეთ რეაგენტებს, რომელთა ღირებულება ბევრად აღემატებოდა ლაბორატორიის მიერ რეკომენდებულ ახალ რეაგენტის ღირებულებას. მეცნიერთა ახალი წინადადების ტექნოლოგიაში დანერგვამ შესანიშნავი შედეგი მოგვცა. შემცირდა მადნის გამდიდრების თვითღირებულება და ამაღლდა ხარისხი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აღნიშნული საწარმო ჯერჯერობით არარენტაბელურია, მომგებიანობის რელსებზე გადასვლის საქმეში ეს სიახლე თავისებურ წვლილს შეიტანს.

თოთხმეტი წელია მადნეულის გამდიდრების საკითხებზე ფიქრობს მარიამ სულაძე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაამუშავეს რაჭის ღარიბი მადნების გამდიდრების საკითხები ლაბორატორიულ პირობებში. სასურველი შედეგების მიღების შემდეგ კი ბოლნისის გამამდიდრებელ ფაბრიკაში მოაწყვეს ამ მადნების გამდიდრება ნახევრად სამრეწველო პირობებში.

სამთო ინჟინერი მარიამ ბელიაევა-მაჩაბელი ბევრჯერ ყოფილა მთებში, უვლია დამღლელი გზებით, რომ მიეღწია სასურველი შედეგებისათვის.

ლაბორატორიის თანამშრომლებს — თამარ ყაველაშვილს და იზა ოქრომჭედლიძეს იტაცებს თავიანთი მშობლიური მიწის წიაღისეული და ისინი სწორედ მანგანუმის შლამების გამდიდრების საკითხზე მუშაობენ. თამარს ამ საქმეში საკმაო გამოცდილება აქვს. 1934 წლიდან იგი ლაბორატორიებში მუშაობს და აკეთებს მანგანუმის მადნების ვარტივ და რთულ ანალიზებს, არკვევს სასარგებლო კომპონენტის რაოდენობრივ შემადგენლობას. ახლა მანგანუმის შლამების გამდიდრების პროდუქტებში მანგანუმის შემცველობას და ლიპტობიოლითურ ნახშირებში კონცენტრატების პლასტიკურობას საზღვრავს.

იზა ოქრომჭედლიძე შედარებით ახალგაზრდაა და უკვე მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს. მან შრომა ჭიათურის გამამდიდრებელ ფაბრიკაში დაიწყო, შემდეგ მაღაროში გააგრძელა და სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტიც დაამთავრა.

ნინო პაპავაძე უფროსი ლაბორანტია. სად არ უმუშავნია მას! ლენინოგორსკის სამთო-მეტალურგიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მერე, როგორც კარგი სპეციალისტი, გაგზავნეს ჩინეთში, იქიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ტაჯიკეთში, ჯიჯიკრუტსკის სურმა-ვერცხლისწყლის კომბინატში.

ლაბორატორიაში კიდევ ბევრნი არიან გამოცდილები, საქმის მცოდნენი და ახალგაზრდები. ეს მტკიცე კოლექტივი თავდაუზოგავად ეძიებს სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების უფრო ეფექტურ, მაღალმწარმოებლურ და ეკონომიურ გზებს.

გოდერძი ტაბატაძე


თამარ ყაველაშვილი


იზა ოქრომჭედლიძე და ნინა პაპავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნონა გუნია

პატარა ოთახი, დიდი, ფართო სარკმლით. უხვი სინათლე.

სიწყნარე, დუმილი... თაროებზე მხარი-მხარ ჩაწყობილი წიგნები, ჟურნალები, გაზეთები.

პატარა მაგიდა სავსეა ჯერ ხელშეუხებელი, გადაუფურცლავი წიგნებით. მაგიდასთან სანდომიანი სახის მანდილოსანი ზის, სათითაოდ იღებს ხელში წიგნებს, რაღაც რიცხვს დააწერს, სათუთად გადაუსვამს ხელს და თაროზე ადგილს მიუჩენს.

სადღაც მინახავს ეს ქალი. უეჭველად მინახავს. ეს ღიმილიც ნაცნობია, ამ შველის თვალების დავიწყება არ შეიძლება.

გუდიაშვილის ნახატებშია ასეთი სახე და მინაბული თვალები.

არა, ნახატი რა შუაშია!..

— მინდა ჩავეწერო თქვენს ბიბლიოთეკაში!

— სიამოვნებით!

— ქართული თეატრის ისტორიის წიგნი შეიძლება, ქალბატონო?

— ახლავე!

მკლავი მაღალ თაროს წვდება, თეთრი, ნათელი თითები დასთამაშებს წიგნებს და მინიშნებულს ეხება.

სადღაც მინახავს, უეჭველად მინახავს ამ მკლავების ზეაჭრა და ამ ნათალი თითების მოძრაობაც. ასეთ თითებს არ ივიწყებენ.

რაც ერთხელ მოგხიბლავს, დიდ სიხარულს მოგგვრის, — არასოდეს არ დაგავიწყდება!

მაშ რატომ ვერ ვიცანი ეს ქალი?

მეპატიება!

როგორ წარმოვიდგენდი, რომ აქ, თეატრალური საზოგადოების წიგნსაცავში, დუმილის სავანეში შევხვდებოდი ქართული ესტრადის მშვენებას, ეროვნული ცეკვების გამაცოცხლებელსა და სულის შთამბერავს — ნონა ვალერიანის ასულ გუნიას.

ტაში და ალტაცების შეძახილები მოჰყვებოდა ყოველ მის გამოჩენას, გედივით შემოსრიალებას სცენაზე, ლერწამივით ტანის რხევასა და შოლტივით მკლავების მოქნევას, შველის თვალების ხან ნაბვასა და ხან ციმციმს ცეკვა „ქართულში", „სატრფიალოში", „მოხეურში", „განდაგანაში", „ფარიკაობაში"...

გინახავთ ნონა გუნია სცენაზე? გინახავთ მისი ცეკვა?

მას თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარს!

ნუ იტყვის!

— ჩვენ გვახსოვს, ჩვენ ვიცით, როგორ ცეკვავდა იგი, როგორი შემოქმედია! — ამბობენ მაყურებლები, ნონას პატივისმცემელნი.

გვახსოვს ამ ოცდაათი წლის წინათ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართული საღამო და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტის — ნონა გუნიას პირველი გამოსვლა სცენაზე. ახლადშესწავლილი ჰქონდა „ქართულის" ილეთები, გული გამალებით უცემდა. ბუნებით მოკრძალებული და კდემამოსილი ნონა, პარტნიორს თვალს ვერ უსწორებდა, მორიდებით შლიდა მკლავებს, ნარნარად დაცურავდა და ხანდახან კრძალვით გადახედავდა მის გვერდით ლაღად მოსრიალე ჭაბუკს. რა ექნა, ასე ასწავლა ცეკვის მასწავლებელმა: ვაჟს გამომწვევად გახედე და გამოიდევნეო. მერე ჭაბუკმა მარტო დასტოვა სცენის შუაგულში; ნელა შეტრიალდა ნონა, ნაზი და ჰაეროვანი, მკლავი ზე აღმართა, თვალი გააყოლა მაღლა შემართულ თითებს, ისევ დარიგება მოაგონდა — „ხელის მტევანი ამოძრავეო", შეათამაშა თითები და ვაჟისაკენ გადაიხარა. არწივივით დაედევნა ვაჟი, გაუსხლტა ნონა, სრიალით გაიჭრა, გზა გადაუღობა ვაჟმა, ნონა შედგა და თავი დახარა.

ტაშმა იქუხა დარბაზში. ცეკვის შინაარსი დიდებულად იქნა წაკითხული. რიტმის გასაოცარი შეგრძნება, დახვეწილი მოძრაობები, ფაქიზი გემოვნება და მოხდენილი პლასტიურობა. ქართული ცეკვების საუცხოო შემსრულებელი დაიბადა იმ დღეს.

1939 წელი... მოსკოვი... ესტრადის მსახიობთა პირველი საკავშირო კონკურსი. გამოჩენილ ხელოვანთა და სცენის დიდოსტატთაგან შემდგარი ჟიური ალტაცებაში მოიყვანა ქართველმა ქალიშვილმა. ქართულ ზღაპრებში წაკითხულ და ოცნებაში წარმოდგენილ წყვილს გავდნენ ნ. გუნია და ბ. დარახველიძე. „ეს მოძრაობის მთელი სიმფონიაა" — ასე შეაფასა ნონას ცეკვა ესტრადის დიდმა ოსტატმა სმირნოვ-სოკოლსკიმ.

ნონას ცეკვა „ქართული" ზნეფაქიზი ასულის კეთილშობილების, პატიოსნების, უმანკოების განსახიერებაა. ყოველი ქორეოგრაფიული ფრაზა სრულდებოდა გასაგებად. ცეკვა „ქართულის" დავლისას ნონა მართლაც გედივით დასცურავდა. გრძელი კაბის მიუხედავად, ნათლად იგრძნობოდა, რომ სრიალისას მოცეკვავეს მუხლის სახსარში არასოდეს ეხრებოდა ფეხი და სხეულის სიმძიმეც ორივე ფეხზე ნარნარად ნაწილდებოდა. ყელმოღერებით მისცურავდა იგი ვაჟის წინ და მკლავების მოხდენილი მოძრაობით ნიშანს აძლევდა ვაჟს გაჰყოლოდა, სიმამაცე და ერთგულება, ძალა და ვაჟკაცობა ეჩვენებია .სცენაზე გაისმის მთიელთა მელოდიები... და სხეულს ჩამორჩენილი, მერცხლის ფრთების მსგავსად გაზნექილი მკლავებით შემოფრიალდა სცენაზე ხევსური ქალი. ძუ ვეფხვით ძალგულოვანი იყო ნონა ხევსურულ ცეკვაში: ლაღი და ფრთამალი, მარდად უსხლტებოდა აღგზნებულ მოტრფიალეს — ქურციკივით დადევნებულ ვაჟს, მერე გამარჯვებული, ნიდაყვებგაშლილი, თითებს კეფაზე აიწყობდა, თავსაბურს შეახებდა და გამომწვევ ღიმილს ესროდა გაცრუებულ მდევარს.

ნონა გუნიას ცეკვებში მაყურებელი თავისუფლად კითხულობდა ცეკვის შინაარსს: იგი მუდამ იცავდა ტრადიციულ წესებს და აცოცხლებდა ქართველი ხალხის მიერ ცეკვაში გამოხატულ სულსა და გულს, რიტუალებსა და ადათებს, ქართველი ქალის ზნეფაქიზობას, სინაზეს, გამბედაობასა და გულადობას. განსაკუთრებით „განდაგანში" იყო მომხიბვლელი. ქართული ესტრადის პირველი მერცხლის შემოქმედებით პალიტრაზე უხვად იყო მრავალი ფერი. ბევრ ახალგაზრდა მოცეკვავეს შეაყვარა ნონა გუნიამ ქართული ცეკვა, დაანახა მისი სიღრმე, სიმდიდრე და გამომსახველობითი სიმშვენიერე, სილამაზე. გასაოცარი ტემპერამენტით ასრულებდა ნონა აღმოსავლურ ცეკვებსაც.

...მერე რა, რომ თავი მოგვანატრა, თითქოს აღარ ჩანს ესტრადაზე. ისევ ტოკავენ ნონას მკლავები და თითები.

ეს ცხოვრებისეული ანტრაქტია.

იმედია, კვლავ აიწევა ფარდა და სცენას დაამშვენებს ნონა გუნია.

კირა კვეიძე

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

მიხეილ ქვლივიძე

### ᲒᲐᲛᲝᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ ᲓᲔᲓᲐᲡᲗᲐᲜ

ბოლოს მეც ვიტყვი დაუფარავად:
სულ წალმა ბრუნავს ეს ბედის ჯარა!..
დედა,
მე უკვე ბავშვი არა ვარ, —
სინანულისთვის ესეც კი კმარა.
სულ შენზე ვფიქრობ... და ყველგან, ყველგან
შენი თვალების სინათლე მომდევს, —
შენ ხომ ჯერ კიდევ არ წახველ ჩემგან,
არ მიეფარე საშინელ ლოდებს...

ეს გუშინ იყო, თუ ხვალ იქნება:
შენი საწოლის უხეში ტილო...
ბავშვობა სიყრმეს გაემიჯნება
და ალარავინ არ მეტყვის: „შვილო".
კიდევ და კიდევ
სხვა საათები
მოვლენ და ვიცი, იქნება ასე:
მწუხარებიდან ალვიმართენი
შენი ნათელი მხნეობით სავსე.

და მაშინ ვიტყვი დაუფარავად:
ხულ წალმა ბრუნავს ეს ბედის ჯარა!..
დედა, მე უკვე ბავშვი არა ვარ, —
სინანულისთვის ესეც კი კმარა.

### Ს Ი Მ Ღ Ე Რ Ა

ა, იმ მთებს იქით, ჩემთვის უცხო მხარეში
სახლობ...
გადიან დღენი და იზრდება სადარდებელი.
ხან შორს მეგულვი,
ხან მგონია, აქვე ხარ, ახლო...
ყოველდღე გადის თბილისიდან მატარებელი!
გადიან წლებიც... დილაობით, თვალს რომ ვახელ
მტრედისფერ ციდან,
თეთრი მთვარის სადარებელი,
ზრუნვით დამცქერის სანატრელი ეგ შენი სახე...
ყოველდღე გადის თბილისიდან მატარებელი!
ყოველდღე გადის თბილისიდან მატარებელი...

* * *

როცა სახლიდან გარეთ გავდივარ,
ასე მგონია,
კვლავ შინ ვბრუნდები,
ვიცილებ უცებ ყველა სატკივარს,
ვლამაზდები და ვმხიარულდები.
კვლავ მიბრუნდება ახალგაზრდობა,
ვარ, როგორც ქარის გამოქროლება,
და მაშინ ვფიქრობ, რა უაზროა
შინ ჩაკეტილი კაცის ცხოვრება!

* * *

არც ერთი წუთი ულექსოდ!
თუ ლექსი არ გეწერება, —
ფიქრების ფარას უმწყემსო, —
გაქვს ამის ბედნიერება!
იხილო ქვეყნიერება,
იხეტიალო მწყემსივით, —
თუ ლექსი არ გეწერება,
თვითონ იცხოვრო ლექსივით!

ნოდარ ნარსია

### ᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘ

დედას

ის იმედები, რომელთაც ელი,
დედი, მოქრიან...
ვეღარსად შედგნენ...
და გადმოქუხან მთებიდან ველად,
გულიდან გულზე და ასე შემდეგ.
ისინი მოვლენ და როგორც სურვილს
მივეგებებით ლხენით და ტაშით...
და ირგვლივ დაღვრილ იების სურნელს
სიცოცხლესავით ჩავიდგამთ ტანში.
ისინი მოვლენ სინათლის დარად,
ბედნიერება რომ იყოს მყარი
და მოგიტანენ ქათქათა დარებს,
უმშვენიერეს მზესა და ყვავილს.
და მზე ენთება ყველგან და მარად,
იგი გაალღობს ყინულის ჯებირს
და მერე ივლის კარიდან-კარად,
როგორც მოყვარე შენი და ჩემი.

ისევ შრიალებს მაღალი ვერხვი,
შიგ შემალული იმედი მღერის...
ვერ შეგეჩვივნენ და კისრისტეხით
გარბიან შენგან წარსული დღენი.
ადიდებული მდინარის მსგავსად,
სანაპირონი ჩარეცხეს ძალით
და მიაღწიეს ყველგან თუ არსად,
მოღალეს შენი ხორცი და ძვალი.
მაგრამ კვლავ გიცემს ძარღვი და დგახარ
და ყველა ტკივილს ამაყად ხვდები...
და მე მგონია, დედაო, ახლა,
რომ გულთან მიგაქვს დაღლილი ხელი.

მე მაგ ნაჯაფარ ხელებით გიცნობ
წარსულ წლებზე რომ ჰყვებიან თვითონ...
და ვიცი,
სხვა დღეც მოვა და.. ვფხიზლობ
რომ არ წაგართვას კუთვნილი სითბო.
შენ ნუღარაფრის გექნება შიში,
საკვამურიდან იდინებს ბოლი!
ნუღარ გაბოდებს ცხადში თუ ძილში:
არ დაბრუნდება აჩრდილი ომის.
და ესიზმრება იმედი დიდი,
ჩემს ფართოდ,
ფართოდ გახელილ თვალებს...
და ვხედავ, ვხედავ ღრუბელი მიდის,
ჩვენს თავზე დგება მაღალი მთვარე.

დრო მიქრის და ჩემს ვედრებას ისმენს,
შემოდის სოფლად საღამო წყნარი...
და ოწინარი ჭრიალებს ისევ
და სასიცოცხლოდ იღვრება წყალი.
დრო მიქრის...
თავის უჩინარ ეტლით,
გზუზე გვიტოვებს კვალსა და ამბავს...
მაგრამ დრო მოვა, რომელიც გეტყვის
ყველაფრისათვის მადლობას, ალბათ.
და თუმცა დღენი, ლუწი და კენტი,
ტივტივებენ და გიწყდება ქანცი...
არ დამიბერდე ოღონდაც, დედი,
მე მოგცემ ჩემი სიცოცხლის ნაწილს.

ჰოდა, იმედი, რომელსაც ითხოვ,
აქვე ახლოა...
ცოცხლობს და სუნთქავს...
და მინდა,
ახლა ქვეყანამ მკითხოს, —
შენი ცხოვრება ქვეყანას ვუთხრა.
გავაგებინო მიწას და ზეცას:
რომ შენი სული მზესავით თეთრი,
ისევ და ისევ სიკეთეს თესავს,
და შენ გეკუთვნის სიცოცხლე მეტი.

ისევ გაზაფხულს ველი და ვუხმობ,
არ განიძარცვონ ფოთლები ჭადრის...
და მენატრება ყველაზე უფრო
შენი ხელებით გამთბარი ჭადი.
...და შვება ისე თავისით მოდის,
იქნებ, არსაით წავიდეს, იქნებ...
და ხელთ მიჭირავს ალუბლის ტოტი,
რომელსაც ახლა შორიდან გიქნევ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინტერესო შეკრება

„მე ბედნიერი ვიყავი ოჯახურ ცხოვრებაში, მაგრამ უფრო ბედნიერი იმით, რომ თავს ვგრძნობდი საზოგადოებისათვის საჭირო ადამიანად“.

ნ. კრუპსკაია

ქალებით სავსე დარბაზში ვზივარ.

ტრიბუნაზე ორატორები ერთმანეთს სცვლიან და მეც საგულდაგულოდ ვიწერ მათ ნაუბარს. ვიწერ, რომ რაიმე მნიშვნელოვანი არ გამომრჩეს, რომ მქონდეს საშუალება, მოვუთხრო ჩვენი ჟურნალის მკითხველებს იმ ფრიად სასახელო და საინტერესო საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ, რომელსაც ეწევიან ქალები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, ყველა უბანზე.

თბილისში, ჩვენი რედაქციის ერთ-ერთ საქაღალდეში რამდენიმე ათეული წერილი დევს. მათი ავტორები გვთხოვენ დახმარებას ქალთა საბჭოების ჩამოყალიბებისა და მათი მუშაობის წარმართვის საქმეში.

ქალთა საბჭოები!

ყველასათვის ცნობილია, რა როლი შეასრულეს ქალთა საბჭოებმა საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისა და განმტკიცების პირველ წლებში, მაგრამ დედისა და დიასახლისის თვალი და ხელი დღესაც ,ისევე ესაჭიროება ჩვენს ოჯახს, ქუჩას, სოფელს, ქალაქსა და მთელს ქვეყანას, როგორც ყოველთვის.

და აი, ამ რამდენიმე წლის წინ, ორიოლელ ქალთა ინიციატივით, ისევ ჩამოყალიბდა ქალთა საბჭო და მოკ..ქ ხანში ეს მოძრაობა მთელს საბჭოთა კავშირს მოედო.

ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე რაიონის ქალები გამოეხმაურნენ ორიოლელთა გამოწვევას. 1962 წლის № 9 ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ფურცლებზე მოთხრობილი იყო ქ. თბილისის კალინინის რაიონის ქალთა საბჭოს მეტად სასარგებლო და საინტერესო მუშაობის შესახებ. არანაკლებ საინტერესოა ბათუმის ქალთა საბჭოს საქმიანობაც, რომელსაც ჩვენი მკითხველები გაეცნობოდნენ 1964 წლის № 3 ჟურნალის ფურცლებიდან. მაგრამ შეიძლება ზოგს შეუმჩნეველი დარჩა ის წერილები და ასეც რომ არ იყოს, ქალთა საბჭოების მუშაობაც, ისევე, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა სხვა სახეობა, სწრაფად ცვალებად ცხოვრებასთან ერთად დროის შესატყვის ფორმას ეძებს და თანაც ამა თუ იმ უბნისათვის მისი სპეციფიურობის მიხედვით ყალიბდება. ამდენად, ვფიქრობ, ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო იქნება, მოვუთხროთ იმ დიდი საუბრის შესახებ, რომელიც ახლა მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთერთ პავილიონში, ქალთა საბჭოების მუშაკთა საკავშირო სემინარზე მიმდინარეობს.

რას წარმოადგენს დღეს ქალთა საბჭოები, როგორია მათი სტრუქტურა, ფუნქციები? — მოვუსმინოთ ქალებს.

. მაგალითად, მინსკის საავტომობილო ქარხანაში, სადაც 9 000 ქალი მუშაობს, ქალთა 46 საბჭოა. ეს საბჭოები საამქროების მიხედვითაა დანაწილებული. თვეში ერთხელ ეწყობა მათი საერთო შეკრება-სემინარი, სადაც ხდება მუშაობის დაჯამება და სამუშაო გეგმის დადგენა. აქ ყოველ საბჭოში იციან, რამდენი ბავშვი ჰყავთ საამქროს მუშებს. კავშირი აქვთ სკოლასთან, სადაც ბავშვები სწავლობენ და თვალყურს ადევნებენ ყველა მათგანის სწავლას და ყოფაქცევას სკოლასა და ოჯახში.

ქალთა საბჭოს თათბირზე ხშირად იწვევენ კარგ მოსწავლეებს, აჯილდოებენ და ახალისებენ. აქებენ კარგ მშობლებსაც, უყურადღებოებს კი კიცხავენ.

იმისათვის, რომ ბავშვები პატივს სცემდნენ მშობლის პროფესიას, ისინი მიჰყავთ ქარხანაში, უჩვენებენ მშობლებს შრომითი საქმიანობის დროს.

ქალთა საქარხნო საბჭო აწყობს ოჯახურ დასვენების საღამოებს, სადაც ოჯახებიანად თავს იყრიან ქარხნის ხელმძღვანელები და მუშები. იმართება საუბრები საინტერესო საკითხებზე. ხდება ერთმანეთის გაცნობა-დაახლოება.

ქარხნის სასადილოს მუშაობის შესწავლის შემდეგ საბჭოს თხოვნით დირექტორი თავს უყრის მზარეულებს, რომელნიც აქვე, უშუალოდ დიასახლისებისაგან იღებენ შენიშვნებს, რასაც კარგი შედეგი მოაქვს.

მსგავსი მუშაობის შესახებ მოგვითხრობენ კრამატორსკის მანქანათმშენებელი ქარხნის (სადაც 80 საბჭოა 500 წევრით), იაროსლავლის და ჩებოქსარის ქარხნების და სომხეთის ქიმკომბინატის ქალთა საბჭოების წარმომადგენლები.

ზემოთ აღნიშნულ აღმზრდელობით მუშაობასთან ერთად ქალთა საბჭოები დიდ მუშაობას ატარებენ ქალთა შრომის შემსუბუქებისა და მათი პროფესიონალური სრულყოფისათვის. დიდი ყურადღება ექცევა ჯანმრთელობის პირობების გაუმჯობესებას, საცხოვრებელ და სამუშაო ადგილების კეთილმოწყობა-გალამაზებას, საბავშვო ბაგებისა და ბაღების მშენებლობას, საბავშვო სახლებისა და ინვალიდების სახლთა მდგომარეობას.

ქალებს შეაქვთ წინადადებები ქარხნის ადმინისტრაციაში და აკონტროლებენ მათ შესრულებას. მაგალითად, შრომის შემსუბუქების მიზნით, იაროსლავლში ქალთა საბჭოებმა 60-მდე წინადადება წამოაყენეს და დანერგეს კიდეც.

სოფლად ქალთა საბჭო ადგილობრივი ხელისუფლების უახლოესი მრჩეველი და დამხმარეა, ხშირ შემთხვევაში კი პროფკავშირების ფუნქციებსაც ასრულებს.

ვორონეჟის ერთერთ დიდ კოლმეურნეობა — „როდინა-“სთან არსებული ქალთა საბჭო 24 წევრისაგან შედგება — ესენი კოლმეურნეები და სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან. მათი მეთვალყურეობის წყალობით მოწესრიგდა მუშაობა საბავშვო ბაღებში. საბჭო დიდ ყურადღებას აქცევს ბავშვთა სწავლას და ყოფაქცევას ოჯახში, სკოლაში, ქუჩაში და მათი სწავლისა და ცხოვრების პირობებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ძნელად აღსაზრდელ ბავშვებს — წარმოებს მუშაობა მათთან და მათ მშობელთა შორის.

მსგავსი მუშაობაა გაჩაღებული ყველა საკოლმეურნეო ქალთა საბჭოში. ბავშვთა აღმზრდელობით, კულტურულ, ჯანდაცვისა და საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობა, სოფლისა და ოჯახების კეთილმოწყობა, ადამიანთა კულტურის დონის ამაღლება, საყოფაცხოვრებო მომსახურების მოწესრიგება და, რაც მთავარია, აღმზრდელობითი მუშაობა — აი, ქალთა საბჭოების საზრუნავი სოფლად! საზოგადოებრიობას უფლება აქვს წაართვას ღირსეულ მშობელს მშობლის უფლება. უფრო მეტიც: ოდესის ოლქის ერთერთი კოლმეურნეობიდან და შემდეგ ოლქიდანაც გაძევებულ იქნა ოჯახის უღირსი მამა.

საქალაქო, სამხარეო, საოლქო და რესპუბლიკური ქალთა საბჭოების მუშაობის შესახებაც საინტერესოდ ილაპარაკეს მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა.

მაგალითად ქ. პერმში ქალთა 240 საბჭოა: საქალაქო, სარაიონო, საქარხნო და სახლმმართველობებთან ჩამოყალიბებული. ეს საბჭოები ხელმძღვანელ ორგანოებთან და პროფკავშირებთან მჭიდრო ურთიერთობაში, იმყოფებიან. ქალაქის საბჭომ ახალ სახლებში მისცა მათ ოთახები ბავშვთა კლუბებისათვის. დღეს ქალაქში ასეთი 103 კლუბი და 28 საბავშვო ოთახია. კლუბებში ყალიბდება წრეები, სექციები, რომელთაც მიკრორაიონის ქალთა საბჭოები ხელმძღვანელობენ.

ბავშვთა კლუბებში სემინარებს ატარებს პერმის პიონერთა სასახლე. კლუბებში ეწყობა ომის ვეტერანების, ძველი ბოლშევიკების, ხელმძღვანელი მუშაკების შეხვედრა ბავშვებთან და სხვა.

ბავშვები რომ ქუჩისთვის ჩამოეშორებინათ, ჩამოყალიბდა შტაბი, შეიქმნა 8 საბავშვო მოედანი, მოეწყო საზაფხულო ბანაკი ძნელად აღსაზრდელ ბავშვთათვის. ბანაკი ისე საინტერესოდ ცხოვრობდა, ისე განმტკიცდა რეჟიმი, რომ იმ ბავშვთაგან კოლონიაში აღარავინ მოხვედრილა. აღნიშნულ ბანაკს ქალაქის განათლების განყოფილება აფინანსებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საგურამო თოვლში

# ელეონორა კანდელაკი გიორგი კეშელავა



გვირაბის მშენებლობა ენგურზე

ეს საანგარიშო გამოფენა, ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის საბრძოლო დიდების ოთახში მოეწყო და მნახველთა ყურადღება მიიპყრო. იგი ჩვენი სამშობლოს ერთგულ მცველებს, ჩვენს მესაზღვრეებს მიეძღვნა.

ელეონორა კანდელაკი და გიორგი კეშელავა, თბილისის სამხატვრო აკადემიის აღზრდილებია. პირველმა მათგანმა, წარმატებით დაამთავრა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ა. ქუთათელაძის კლასი, ხოლო მეორეს სსრკ სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა.

ეს — ამ ორი ახალგაზრდა მხატვრის მეორე პერსონალური გამოფენაა. პირველი გამოფენა, გასულ წელს ხელოვნების მუშაკთა სახლმა მოაწყო. იგი ჩვენი ხუთწლედის გრანდიოზულ მშენებლობის — ენგურჰესისადმი იყო მიძღვნილი. გამოფენაზე ექსპონირებული იყო ენგურჰესის მშენებლობის მოწინავე ადამიანთა — მუშებისა და ინჟინრების პორტრეტები, მშენებლობის სურათები.

ახალგაზრდა მხატვრებმა აკადემიის დამთავრებისთანავე გამონახეს საერთო ენა და ამ ორი გამოფენის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გამოამჟღავნეს, როგორც უნარი შემოქმედებითი თანამეგობრობისა, ისევე ნიჭი და დიდი შრომისუნარიანობაც, ეს კი იმის საწინდარია, რომ დროთა განმავლობაში მათი ოსტატობა კიდევ მეტად გაძლიერდება და მომწიფდება და რომ მათ გააჩნიათ უფრო ფართო სარბიელზე გამოსვლისა და უფრო მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შექმნის ყველა შესაძლებლობა.

ე. კანდელაკი და გ. კეშელავა ა. წ. გაზაფხულზე გაემგზავრნენ ამიერკავკასიის სასაზღვრო ნაწილებში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენისათვის მასალის შესაგროვებლად.

ეს იყო ადრე გაზაფხულზე, როდესაც მთები ჯერ კიდევ თოვლით იყო შესუდრული, ძალზე ციოდა, მაგრამ ახალგაზრდა მხატვრებმა გადალახეს ყველა სიძნელე და 15 და ხან მეტ საათსაც დღე-ღამის განმავლობაში, დაძაბულ შრომაში ატარებდნენ.

ერთი თვის ასეთი შრომა საზღვარზე, საკმაოდ დიდი შემოქმედებითი წარმატებით დამთავრდა, რაზეც ნათლად მეტყველებს გამოფენაზე წარმოდგენილი მრავალი ნამუშევარი.

ახალგაზრდა მხატვრებმა, რომელთა დევიზია: ცხოვრებისეული სიმართლე, სინამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მშენებელი ქალიშვილი



პეიზაჟი



ზემდეგი ვ. გ. ტიმოშენკო

ეროვნული ბიბლიოთეკა



გენერალ მაიორი ნ. დ. პესკოვი

დვილის რეალისტური ხატვა. მართლაცდა შეულამაზებლად გადმოგვცეს თავის შთაბეჭდილებანი. გამოფენისათვის მათ მიერ ჩატარებულია დიდი საქმიანობა. წარმოდგენილია ბევრი ნამუშევარი, როგორც მხატვრული, ისე ნატურიდან ჩანახატების სახით გამოფენაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ფართოდ დაწერილი და ლაკონიურად შეკრული ტილო ,,ჯგუფი იღებს ბრძანებას საზღვრის დაცვის შესახებ".

მხატვრები დიდ სითბოსა და სიყვარულს ამჟღავნებენ ახალგაზრდა მესაზღვრეთა მიმართ. სურათში ,,ხიჩაურის საღამოები", დიდი ლირიზმით გამსჭვალული ეს სურათი, როგორც კომპოზიციურად, ისე ფერში, ლამაზადაა გადაწყვეტილი. კარგია ვეტერან მესაზღვრეების პოლკოვნიკების ი. პ. პოლეჟაევის და ვ. ი სედიხის მხატვრული პორტრეტები თავისი ფორმით და ხასიათით მეტად მეტყველია ეტიუდი ზემდეგ გ. გ. ტიმოშენკოს პორტრეტისათვის ყურადღებას იპყრობს მსუბუქად და თავისუფლად გადაწყვეტილი ფანქარში გაკეთებული მრავალი ჟანრული კომპოზიცია არ შეიძლება არ აღინიშნოს გამოფენაზე წარმოდგენილი პეიზაჟებიც, რომელნიც წარმტაცად ასახავენ იმ ადგილმდებარეობის დამახასიათებელ თავისებურებებს. მაგალითად ,,ივანე ვასიუხნოს სახელობის სასაზღვრო საგუშაგო", ,,შავი ზღვა", ,,ზღვის სანაპირო" — ფაქიზად დაწერილი, მიმზიდველი თავისი კოლორიტით, ეს ერთი საუკეთესოთაგანია, გამოფენაზე წარმოდგენილ პეიზაჟებში.

ხასიათის გრძნობა მხოლოდ ნამდვილ მხატვარს გააჩნია, — აი, რატომ მსურს განსაკუთრებით აღვნიშნო ეს თვისება ე კანდელაკისა და გ. კეშელავას ნამუშევრებში— როგორც ფანქრით სახელდახელო ჩანახატებში, ისე მათ მხატვრულ ტილოებში. ნატურიდან გაკეთებულ ყველა ჩანახატში ვხედავდით ჩვენ, ჩვენი დროის ადამიანებს, ჩვენს თანამედროვეებს, რომელნიც ცხოვრობენ, შრომობენ ჩვენთან ერთად. არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ მხატვრების დიდი სიყვარული საბჭოთა სინამდვილისადმი

ე. კანდელაკი და გ. კეშელავა ცხოვრობენ ჩვენი დღეების დიდი შეგრძნებით და ჩვენი საზოგადოებრიობაც ელის მათგან დიდ გამარჯვებებს. მათი შემოქმედებითი ოსტატობის შემდგომ ზრდას და სრულყოფას

თამარ თავაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი.



,,ხიჩაურის საღამოები"

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ინგურის მშენებლობა



ჩვენი მშენებელი ნაგურიანი



მთავარი ინჟინერი გ. ჩუბინიძე

ზღვის სანაპირო



საბავშვო კლუბები და ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა კლუბები ჩაბმულნი არიან შეჯიბრში სხვა ქალაქების ასეთსავე კლუბებთან.

პერმის საქალაქო საბჭო მშენებლობების დაპროექტებისას აუცილებლად ითვალისწინებს ბინებს ბავშვთა კლუბებისათვის და სათანადო ფართობს ეზოებისათვის.

ოდესის ოლქშიც, სადაც 25000 აქტივისტი ქალი მოღვაწეობს, საოლქო, სარაიონო და საქალაქო საბჭოებში საინტერესო მუშაობაა გაჩაღებული.

ეს საბჭოები შეფობას უწევენ სოფლებს. სოფლის ქალთა საბჭოებს უყიდეს და აჩუქეს წიგნები, ტელევიზორი, შეუძინეს ავეჯი.

საბჭოები აკონტროლებენ ბავშვთა აღმზრდელობითი დაწესებულებების მუშაობას. მიჰყავთ ქალაქიდან სოფლად სპეციალისტები ლექციების ჩასატარებლად. აქვთ რადიოგადაცემები რუბრიკით „თქვენთვის, ქალებო!“, უშვებენ ბროშურებს წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ქალთა ცხოვრებაზე, სწავლობენ ქალთა მოძრაობის საკითხებს და სხვა. მათ შეამოწმეს ოლქის ადგილობრივი მნიშვნელობის წარმოებები და შემოწმების შედეგი მოახსენეს ადგილობრივ ხელმძღვანელობებს. მათი შენიშვნების მიხედვით, როგორც სოფლად, ისე ქალაქში, ქარხნებში და ფაბრიკებში ბევრი რამ გაკეთდა: ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა დარგის სპეციალისტ ქალებთან, უწევენ შეფობას სკოლებს, საავადმყოფოებს, საბავშვო სახლებს.

საინტერესოა ის ამბავიც, რომ ქალთა საბჭოები მონაწილეობენ ქორწინების ცერემონიალშიც. საზეიმო ვითარებაში ულოცავენ გაბედნიერებას ახლადშეუღლებულებს: ბავშვები გზად უფენენ ყვავილებს. არაიშვიათია შემთხვევა, რომ ახლადდაქორწინებულთ ბარდება ახალი ბინის გასაღებიც.

ბავშვებს, სკოლის დამთავრებისას, ატესტატთან ერთად ურიგდებათ საჩუქრები და წერილები „60-იან წლების ადამიანებისაგან“. ეს არის რჩევა, ანდერძი, როგორი უნდა იყოს წესიერი ადამიანი.

ოლქის საუკეთესო კოლმეურნე ქალს, ქალთა საბჭოს ინიციატივით, კოლმეურნეობამ უყიდა საგზური საზღვარგარეთ სამოგზაუროდ. ასევე. დაჯილდოვდა საუკეთესო მუშა ქალიც.

ლიტვაში ქალთა მუშაობის გამაერთიანებელი ცენტრია ქალთა რესპუბლიკური საბჭო.

იგი გამოცდილების გაზიარების მიზნით მიწერ-მოწერას აწარმოებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ჩეხოსლოვაკიასთან. საბჭო აწყობს სემინარებს, სწავლობს ქალთა ცხოვრების პირობებს, იწვევს და უსმენს სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და ვაჭრობის დარგების ხელმძღვანელ მუშაკებს. საბჭო ყურადღებას აქცევს სოფლად მომუშავე ქალების სპეცტანსაცმლით მომარაგებას და მის ფორმას, შრომის მექანიზაციას, ბინების მოწყობას, აცხადებს კონკურსს სოფლის საუკეთესო სამზარეულოზე, ბინის საუკეთესო ინტერიერზე და სხვა.

ასევე საინტერესო მუშაობაა გაშლილი უკრაინაში, სადაც აქვთ ქალთა კლუბები და უნივერსიტეტები, ტარდება ვიქტორინები, ეწყობა ზეპირი ჟურნალების საღამოები და ლექციები სხვადასხვა საკითხებზე, წესდება პრემიები საუკეთესო ქალთა კლუბებზე.

ლვოვში, ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის შესახვედრად დაწესდა „წითელი თავსაფრის“ ესტაფეტა. ამ შეჯიბრებაშია ჩაბმული სოფლად და ქალაქად არსებული ქალთა საბჭოები. ესტაფეტა გადადის წარმოებიდან — წარმოებაში კოლმეურნეობიდან-კოლმეურნეობაში. წლის ბოლოს ყრილობაზე დაჯამდება მუშაობა და წითელი თავსაფარი მიენიჭება გამარჯვებულს. ლვოვის ქალთა კლუბს ჯერჯერობით არა აქვს საკუთარი შენობა, მაგრამ მას გამოყენებული აქვს ერთ-ერთი დაწესებულება თავისუფალ საათებში და აქედან მიდის და აწყობს საღამოებს სხვადასხვა რაიონების კლუბებში. ეწყობა „ბებიების“, „დედების“ და სხვა საღამოები. საღამოებზე მსმენელებს მოუთხრობენ რაიონის გამოჩენილ ადამიანთა შესახებ... საბჭოს ინიციატივით იმართება აგრეთვე „ქუჩის დღესასწაულები“.

იმისათვის, რომ მუშა ქალების ქმრები აფასებდნენ თავიანთი ცოლების საქმიანობას და მეტ გულთბილობას იჩენდნენ ოჯახში მათ მიმართ, ქალთა საბჭოს მიჰყავს ისინი ქარხნებში და აჩვენებს მეუღლეებს შრომის პროცესში.

ქალთა საოლქო საბჭოს ინიციატივით ქალაქიდან — სოფლად ველებზე, ფერმებში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში მიჰყავთ ექიმები, კულინარები, მკერავ-გამომჭრელები, მიაქვთ ქსოვილები და ადგილზე ხდება ქალების კონსულტირება და მომსახურება.

საინტერესო მუშაობა მიმდინარეობს დაღესტანში. აზერბაიჯანში, შუააზიის რესპუბლიკებში.

საზოგადოებრივი საქმიანობის, და განა მარტო საზოგადოებრივის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გაშლის მუშაობას ორგანიზაცია. ახლებური, ორიგინალური ღონისძიებები საინტერესოს ხდის მუშაობას, აბამს მუშაობაში ფართო მასებს.

აი, კიდევ თუნდაც ერთი ფაქტი ლვოვის ქალთა საბჭოს მუშაობის გამოცდილებიდან: ამ ქალაქის ახალშობილთა მამებს იწვევენ ამა თუ იმ რაიონის პარკში და არგვევინებენ ერთ ხეს, თავისი პატარას სახელზე. ლვოველებს იმედი აქვთ. რომ ამ გზით მათი ქალაქი მალე ბაღად იქცევა.

ამგვარად, როგორც ხედავთ, ქალთა საბჭო არც სადირექტივო ორგანოა, არც დამფინანსებელი, მაგრამ მას გააჩნია უდიდესი ძალა ადამიანებზე ზემოქმედებისა და ცხოვრების მოწესრიგების უდიდესი უნარი.

საერთო ყურადღება მიიპყრო ქ. თბილისის კალინინის რ-ნის ქალთა საბჭოს თავმჯდომარის ვენერა მეგრელიშვილის გამოსვლამ.

ასევე საინტერესო იყო ოლია ქვანიას (სოხუმი) და ლამარა ბოლქვაძის (ქობულეთი) გამოსვლები. მათზე არ შევჩერდები, რადგანა რედაქციას განზრახული აქვს თავის შემდგომ მუშაობაში დიდი ადგილი დაუთმოს ჩვენს ქალთა საბჭოებს — სპეციალურად გააშუქოს ჟურნალში მათი საქმიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სემინარის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ სემინარის ინიციატორები — ჟურნალ „რაბოტნიცას“ და „კრესტიანკას“ რედაქტორები, საკავშირო პროფსაბჭოს, ქალთა კომიტეტისა და მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების ხელმძღვანელი მუშაკები, იურისტები, სოციალისტური შრომის გმირები, რევოლუციის და სამამულო ომის ვეტერანები და სხვა.

აქ არის გულმხურვალე საუბარი ჩვენს აწმყოსა და მომავალზე, სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციის შესახებ, იმ დაძაბულ შრომასა და ბრძოლაზე, რომლის მიზანია გაანთავისუფლოს ადამიანის გონება და ფიზიკური ძალები და მისცეს მათ ფართო ასპარეზი ამაღლებისა და სრულყოფისათვის.

173 000 საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებაა დღეს საბჭოთა კავშირში.

დავუახლოვოთ ეს დაწესებულებები ოჯახს!

აღვზარდოთ მაღალი მორალისა და ნათელი გონების ადამიანები!

ვიბრძოლოთ ქალთა ღირსების ამაღლებისათვის!

ვიზრუნოთ ქალთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში — მათ პროფტექნიკურ და აგროტექნიკურ განათლებაზე. ვიზრუნოთ ქალთა კადრების დაწინაურებისათვის!

და მთავარზე უმთავრესი ამოცანა — ჩვენი ბავშვები — მათ ბედნიერებაზე ზრუნვა.

არც ერთი ოჯახი, არც ერთი ბავშვი ყურადღების გარეშე!

არა ერთი და ორი გაბზარული ოჯახი გამრთელებულა ქალთა საბჭოს დახმარებით. არა ერთი და ორი გზასაცდენილი ადამიანი დამდგარა სწორ გზაზე.

დიდი ხანია მოძველდა თქმა: „მეზობლის მკვდარი — მეზობელს მძინარი ეგონაო“. თუ მეზობელი ძლიერია, მისი ოჯახი ჯანსაღი, შვილები წესიერი, ჩვენს ოჯახს ჯანსაღი კედელი ჰქონია და შვილებს კარგი ამხანაგი და მისაბაძი მაგალითი.

ზედმეტია იმის ჩამოთვლა, თუ რა სასწაულებს ახდენს დღეს, ჩვენს ქვეყანაში, საუკუნეობრივი მონობისაგან განთავისუფლებული ქალის ნება და ძალა.

გამოვიყენოთ ეს ძალა ჩვენი ოჯახების გაჯანსაღებისათვის, ჩვენი ცხოვრების კიდევ მეტი სრულყოფისათვის!

ძვირფასო ქალებო! ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქალები ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებენ ამ დიდ შეჯიბრში და ჩვენ მოგვეცემა საშუალება ჟურნალის ყოველ ნომერში მოვუთხროთ მკითხველებს საქართველოს ქალთა საბჭოების სასახელო საქმიანობის შესახებ.

დიდ წარმატებას გისურვებთ, მეგობრებო!

**მარიკა ბარათაშვილი**

# წაუკითხეთ პატარებს

მარგო თოფაძე

## სანდრიკო და ალუბალი



საღამოს მამიდამ ჰკითხა სანდროს:

— როგორ არის საქმე, სამი ალუბალი ვინ მოწყვიტა?

სანდრომ თვალები დააჭყიტა და გაკვირვებულმა იკითხა:

— ვინ გითხრათ, რომ სამი ალუბალი მოვწყვიტე და შევჭამე?

— ყუნწებმა მითხრეს, — გაიღიმა მამიდამ.

— რა საზიზღარი, ენატანია ყუნწები ყოფილან, — დაიღრიჯა სანდრიკო.

მამიდამ სანდრიკო ალუბლის ხესთან მიიყვანა და უთხრა:

— აი, ეს ალუბლის ხე შენთვის ჩამიბარებია, წელს პირველად მოისხა, ყური უგდე, არავინ გაკრიფოს.

ალუბლის ხე პატარა იყო და ცოტა ესხა, აქა-იქ ეკიდა რამდენიმე კუნწულა.

სანდრიკო დღეში ათჯერ მიირბენდა ალუბლის ხესთან, გარშემო უვლიდა და ათვალიერებდა.

ალუბლები თანდათან დამსხვილდნენ და დამწიფდნენ.

ერთხელ სანდრიკომ ჩვეულებრივად შემოუარა ალუბლის ხეს, ლალისფრად მოკამკამე კუნწულებს ახედ-დახედა და ჰკითხა:

— ალუბალო, ალუბალო, ხომ არავინ გაგკრიფა?

— არა, არა, — ირხეოდნენ ტოტებზე ალუბლის კუნწულები.

სანდრიკოს ძალიან მოუნდა გაესინჯა ალუბალი. ითმინა, ითმინა და ვეღარ მოითმინა, ერთი ალუბალი ყუნწიდან მოგლიჯა და შეყლაპა. პაპანაქება სიცხეში ძალიან ეამა მომჟავო ალუბალი. მეორეც მოგლიჯა და შეყლაპა, მესამეც მიაყოლა... უცებ მამიდას სიტყვები გაახსენდა: ყური უგდე, ალუბალი არავინ გაკრიფოსო, — შერცხვა და ჩუმად გაიპარა.

## შოშიების ქუჩა

პატარა ზურიკოს ძალიან უყვარს სანაპირო ქუჩა. ამ ქუჩით მიდის იგი ყოველ დილით საბავშვო ბაღში. ქუჩის ორივე მხარეს ალვის ხეებია ჩამწკრივებული. ეს ხეები განსხვავდებიან სხვა ხეებისაგან, თითოეულ მათგანზე პაწია სახლებია წამოსკუპებული.

— ეს შოშიების სახლებია, — უთხრა დედამ ზურიკოს.

ერთხელ ვიღაც წითელყელსახვევიან ბიჭს ხეზე კიბე მიედგა და შოშიების სახლის ძირას ფიცარს ამაგრებდა.

— მანდ რად ასულხარ? შოშიებს სახლი არ დაუნგრიო, — შესძახა ზურიკომ.

— ნუ სწუხარ, ცეროდენავ, მე შოშიების მეგობარი ვარ, ამ ფიცარზე საკენკი უნდა დავუყარო, — ჩამოსძახა ბიჭმა ზემოდან.

— მეც ვიქნები შოშიების მეგობარი, — შეეხვეწა ზურიკო.

— იყავი რა, — გაიცინა წითელყელსახვევიანმა ბიჭმა.

შოშიები კი ხის კენწეროზე დასკუპებულიყვნენ და მხიარულად სტვენდნენ.

— ხედავ, შოშიებმა როგორ გაიხარეს, — უთხრა ბიჭმა.

— რა უხარიათ შოშიებს? — იკითხა ზურიკომ.

— უხარიათ, რომ ახალი მეგობარი შეიძინეს. გაიზრდები და შენც შეუღებავ სახლებს, დაუყრი საკენკს. წელს შოშიები ცოტა ადრე მოფრინდნენ, აქ ისევ ცივა, თუ საკენკი არ მივაშველეთ, გაუჭირდებათ თავის შენახვა.

— რატომ მოფრინდნენ შოშიები ადრე? — ჰკითხა ზურიკომ.

— იმიტომ, რომ აქაურობა მოენატრათ. შოშიებსაც უყვართ თავისი სამშობლო, — მიუგო წითელყელსახვევიანმა ბიჭმა.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... — დაიწყო ზურიკომ შოშიების სახლების თვლა. თვალა, თვალა და მაინც ვერ დათვალა. მერე ისევ შოშიების მეგობარ ბიჭს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ყველა შოშიას უყვარს თავისი სამშობლო?

— აბა რა, ყველას უყვარს, — ჩამოსძახა ბიჭმა.

ყოველ დღე დადის ზურიკო სანაპირო ქუჩაზე და ყელმოღერებული შესცქერის მაღლა ხეებზე კოხტად წამოსკუპებულ პაწია სახლებს, უსმენს შოშიების მხიარულ სტვენას, თან ფიქრობს, გავიზრდები და მეც შევუღებავ შოშიებს სახლებს, ფიცარზე საკენკს დავუყრიო.

შოშიებიც ცნობენ ზურიკოს, ზედ ცხვირწინ აუქროლებენ და ჩამოუქროლებენ. ,,მოდის ჩვენი მეგობარი! მოდის ჩვენი მეგობარი!“, — გასძახიან ერთიმეორეს.

ერთ დღეს, საბავშვო ბაღში, დეიდა ნინომ ბავშვებს უთხრა: რაც თქვენ მოგწონთ და გინდათ, ის დახატეთო.

ზურიკომ ორი გრძელი ხაზი გაავლო. ქუჩა გააკეთა. ქუჩის პირას მაღალი ხეები ჩაამწკრივა, ხეებზე კოპწია პატარა სახლები და შოშიები წამოასკუპა. ერთ ხეზე კიბე მიადგა და ზედ შოშიების მეგობარი წითელყელსახვევიანი ბიჭი დააყენა, ქვევით კი პატარა ბიჭი დახატა.

— ზურიკო, ეს რა კარგი რამე დაგიხატავს, რა ჰქვია ამ სურათს? — შეეკითხა დეიდა ნინო ზურიკოს.

— ,,შოშიების ქუჩა“, — მიუგო ზურიკომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შვილობილები

ახლა მერამდენეჯერ ვფურცლავ ჩემს უბის წიგნაკს, ვათვალიერებ ჩანაწერებს და თვალწინ ცოცხლდება არაჩვეულებრივი ნებისყოფისა და დიდი გულის ადამიანის ცხოვრების ეპიზოდები...

ეს იყო 1939 წელს. მარიამ ყოლბაიას მეუღლე სამხედრო ექიმად მუშაობდა უკრაინაში. მარიამი პარტიის რაიკომის მუშაკი იყო. მერე ისინი ლვოვში გადაიყვანეს. მათ გვერდით ოფიცერი ივანე დვორეცკი ცხოვრობდა თავისი ოჯახით, მათი პატარა ვაჟი კოტიკო დაუმეგობრდა მარიამს, რომელსაც სწორედ იმ ხანებში მოუკვდა შვილი. მარიამმა შვილის სიყვარული კოტიკოზე გადაიტანა, ხშირად დაჰყავდა სასეირნოდ, ყვავილების საკრეფად, ზოოლოგიურ პარკში. ერთი წლის შემდეგ მარიამის მეუღლემ ქალაქიდან საკმაოდ მოშორებით დაიწყო მუშაობა.

ერთხელ მარიამმა გადაწყვიტა მეუღლის სანახავად წასულიყო. 1941 წლის ივნისი იყო. კოტიკო მაშინ ხუთი წლის იქნებოდა. ბავშვმა მარიამის გაყოლა მოისურვა, არც მშობლებს უთქვამთ უარი და გაემგზავრნენ. როცა მატარებლით უკან ბრუნდებოდნენ, ყველაფერი აირია, ჩვენს ქვეყანას ფაშისტური გერმანია დაესხა თავს. უკრაინაში გერმანელები შემოიჭრნენ. კოტიკოს მშობლების მოძებნაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. გერმანელები გაშმაგებით ეძებდნენ კომუნისტებს. მარიამი იძულებული შეიქნა დამალულიყო. გერმანელებმა დაიკავეს კიევის ოლქის, ფასტოვის რაიონის სოფელი ველიკა-სნიტინკა, სადაც მარიამი და კოტიკო აფარებდნენ თავს. დაიწყო მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. ჰიტლერელები აგროვებდნენ ბავშვებს და გერმანიაში გზავნიდნენ. ჯალათებმა სოფელში შრომის ბირჟა შექმნეს. საბჭოთა მოქალაქეებს რამე უნდა ეღონათ, რომ ბავშვები ეხსნათ. ეს საქმე მარიამმა ითავა. იგი დაუკავშირდა სოფლის საავადმყოფოს ექიმს, აზერბაიჯანელ ჰუსეინ ბაირამის ძე ტერტერლანს. ბავშვებს ნემსი გაუკეთეს და გერმანელები მოატყუეს, ვითომცდა სოფელში ტიფი გაჩნდა. გერმანელებმა მოითხოვეს ავადმყოფი ბავშვების შემოწმება. უკან დახევა აღარ შეიძლებოდა.

მარიამმა რამდენიმე ბავშვი შესამოწმებლად მიუყვანა შრომის ბირჟის ექიმს, ბოიკოს. ექიმმა გამომცდელად შეხედა მარიამს და ყურადღებით გასინჯა ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე ბავშვი. შემდეგ ისევ ქალს დააკვირდა. ექიმის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული ბავშვების ბედი. სუნთქვა შეეკრა მარიამს. ექიმმა დაადასტურა ტიფი. მარიამმა ერთი კვირის მანძილზე ამ ექიმთან რამდენიმე ათეული ბავშვი მიიყვანა. ბოიკომ სოფელში კარანტინი გამოაცხადა. გერმანელები შეშინდნენ და უარი თქვეს ბავშვების წაყვანაზე. მოგვიანებით გაიგო მარიამმა, რომ ექიმი ბოიკო პარტიზანებთან იყო დაკავშირებული. საუბედუროდ, ეს გერმანელებმაც გაიგეს და კეთილშობილი უკრაინელი ექიმი მხეცურად აწამეს.

უკრაინის პატარა სოფელ ველიკა-სნიტინკაში დღესაც არ ივიწყებენ მარიამს. შარშან მარიამ ყოლბაიამ ასეთი შინაარსის ბარათი მიიღო:

„ჩვენო საყვარელო, კეთილო მარუსია. გწერთ ამ ბარათს და სულით და გულით გთხოვთ თქვენ და ჰუსეინ ბაირამის ძეს გვესტუმროთ. ის, რაც თქვენ ჩვენთვის გააკეთეთ, დაუვიწყარია. ჩვენი შვილებიც ჩვენს თხოვნას უერთდებიან, გვესტუმრეთ, ძვირფასებო“. ბარათს ხელს აწერდნენ კოვალენკო, ეგოროვი, დემჩენკო, ლაზარენკო, დურმაშენკო, პიპკო, კოროტიჩი...

— იცით, ახლა ამ ბარათს, რომ ვკითხულობ, ყოველთვის ვცდილობ მოვიგონო, რომელი იყო დურმაშენკო, პიპკო, კოროტიჩი და ვერაფრით ვერ ვიხსენებ. ისინი ბევრი იყვნენ — გაწამებული, ომისაგან გაუბედურებული ბავშვები. ბევრი მათგანი დაქორწინდა, ბევრი დედაა, — მეუბნება მარიამი და თვალებში სიხარულის ცრემლები უბრწყინავს. შემდეგ ფრთხილად აღებს თავისი საწერი მაგიდის უჯრას და კიდევ ერთ ბარათს მაწვდის. იგი ჰუსეინ ბაირამის ძე ტერტერლანს ეკუთვნის, რომელიც სტუმრად ეპატიჟება მარიამს. ეს ბარათი კი, კოტიკოსაგანაა. ბოლოში პატარა მინაწერია:

„ჩემო თემური და ელისო. აბა თქვენ იცით, როგორ კარგად ისწავლით, მოუარეთ დედას. მე მალე ჩამოვალ და საჩუქრებს ჩამოგიტანთ“.

— ეს კი კოტიკოს ვაჟია, ანდრიუშა. მე უკვე ბებია ვარ, — მითხრა ღიმილით მარიამმა და ფოტოსურათი მაჩვენა.

ვგრძნობდი, როგორი სიამაყით ლაპარაკობდა იგი თავის აღზრდილზე, რა სიხარული იხატებოდა მის ალერსიან, სანდომიან სახეზე. ბევრი, ძალიან ბევრი გადაიტანა მარიამმა იმისათვის, რომ ეს დღე დამდგარიყო...

1944 წლამდე მარიამი ბავშვთან ერთად უკრაინაში იმყოფებოდა. 1944 წელს გალში ჩამოვიდა. კოტიკომ სკოლაში დაიწყო სიარული, მარიამი კი გალის კოოპერატივის გამგედ დანიშნეს.

კოტიკოს მშობლებზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა მარიამს. უჭირდა ბავშვთან დაშორება, მაგრამ უფლება არ მისცა თავს, არ მოეძებნა ისინი. მოსკოვში წერილი გაგზავნა და გაიგო, სად იმყოფებოდა ივანე დვორეცკი. ბავშვი ძალიან შეეჩვია მარიამს და, რასაკვირველია, პირველად ლაპარაკიც არ უნდოდა ამ თემაზე. ბოლოს დაეთანხმა და მისწერეს წერილი მამას. ივანე მაშინვე ჩამოვიდა, რამდენიმე კვირა დარჩა და წაიყვანა ბავშვი. გაუძნელდა უმისოდ მარიამს, თითქოს ირგვლივ ყველაფერი დაცარიელდა, მთელი დღე მუშაობდა და შინ მისვლა არ უნდოდა. კოტიკოსგან ხშირად მოსდიოდა წერილები, გრძნობდა, რომ მასაც უჭირდა. ბავშვმა ბოლოს იმდენი გააკეთა, რომ მშობლები დაითანხმა და ივანე დვორეცკი თავისი ოჯახით საცხოვრებლად გალში გადმოვიდა. კოტიკო ხან მარიამთან იყო, ხან თავის მშობლებთან. ახლა ის ოფიცერია და რუსეთში მუშაობს...

ბავშვზე ზრუნვას მიჩვეული მარიამი ადგილს ვერ პოულობდა. სამსახურიდან დაბრუნებული, სულ იმის ფიქრში იყო, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს გადაწყვიტა და 1958 წელს ლენინგრადის ბავშვთა სახლიდან ერთი წლის ბიჭი იშვილა. კოტიკომ ინახულა გალში თავისი პატარა ძმა თემური, დაუმეგობრდა მას. 1962 წელს კი, მათ ოჯახს კიდევ ერთი ახალი წევრი შეემატა. მარიამმა გოგონა იშვილა. ორ ძმას ერთი დაც ხომ უნდაო, — ამბობს ღიმილით მარიამი.

ხედავდა მარიამი, როგორი გულისხმიერი გახდა თემური, როცა მათ ოჯახს დაიკო — ელისო შეემატა. განსაკუთრებული მეგობრობა და სიყვარული აკავშირებთ ბავშვებს. ისინი წარჩინებით სწავლობენ გალის II საშუალო სკოლაში. მარიამი მზრუნველობას არ აკლებს მათ. ბავშვები დედის ამაგს კარგი ქცევითა და სწავლით იხდიან. მარიამი ენგურჰესის მშენებლობის მუშათა მომარაგების განყოფილების თანამშრომელია. ერთხელ, როცა გვიან დაბრუნდა შინ, ბავშვები გვერდზე მოისხა და უამბო, თუ როგორ იზეიმეს იმ დღეს ენგურჰესის მშენებლებმა პირველი გამარჯვება, როგორ გადაუშვეს მდინარე მისთვის საგანგებოდ გაყვანილ გვირაბში. მარიამის აღფრთოვანება შვილებსაც გადაედოთ.

... 17 წლის იყო მარიამ ყოლბაია, როცა კომკავშირში შევიდა და აქტიურად ჩაება ახალი ცხოვრების შენებაში. იმ ხანებში სოფლად კოლმეურნეობები ყალიბდებოდა. ბევრი გლეხი კოლმეურნეობას შორიდან უცქეროდა. კულაკები აქეზებდნენ მათ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ ხელი შეეშალათ კოლექტივიზაციისათვის. მარიამი პარტიის გალის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგედ მუშაობდა. აქტივისტმა კომკავშირელმა ქალებმა: ოლღა კვეკვესკირმა, ანტისა ხაბურზანიამ, ქსენია ჩიქოვამ, ზინა და თამარ ციკოლიებმა დიდი შრომა გასწიეს კოლმეურნეობის ჩამოსაყალიბებლად.

მარიამ ყოლბაია მერე გალის სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩიეს. რამდენიმე წლის შემდეგ პარტიის რაიკომმა უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში გაგზავნა სასწავლებლად. სწავლა რომ დაამთავრა, ხობის მტს პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილედ დანიშნეს, უფრო გვიან რაიაღმასკომის ინსტრუქტორი იყო.

... ვფურცლავ უბის წიგნაკს, ვათვალიერებ ჩანაწერებს, რაც მხოლოდ რამდენიმე ლამაზი ფურცელია ამ უბრალო, მაგრამ დიდი გულის ადამიანის ცხოვრებისა.

გულნარა აროზელიძე



# მებრეშუმეები

მეაბრეშუმეობის ბევრი მოწინავე რაიონია ჩვენს რესპუბლიკაში. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია ჩოხატაურის რაიონი. ამის ნათელსაყოფად ისიც კმარა, რომ რაიონი სამი წელია ზედიზედ პარკის დამზადების წლიურ გეგმას მარტო პირველი გამოკვების დროს ასრულებს. ეს წარმატება გაპირობებულია მოწინავე მეაბრეშუმე ქალების თავდადებული შრომით. ამ წარმატებაში გარკვეული წვლილი შეაქვს სათაო პარკსაშრობის დირექტორს ლილი ლომინეიშვილს.

ლილიმ უმაღლესი განათლება თბილისის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიიღო. დაამთავრა მეაბრეშუმეობის ფაკულტეტი და სამუშაოდ ჩოხატაურის რაიონში გაემგზავრა. მუშაობის პირველი დღიდანვე დაიწყო ზრუნვა იმაზე, თუ როგორ შეეცვალა უჯიშო თუთის ხეები ჯიშიანით. მოეთათბირა რაიონის პარტიულ ხელმძღვანელობას, გააცნო თავისი გეგმები და მათგან სათანადო მხარდაჭერა და დახმარებაც მიიღო.

ამჟამად რაიონში ძვირად შეხვდებით ისეთ მოსახლეს, რომელსაც საკარმიდამო ნაკვეთზე ათობით ჯიშიანი თუთის ხე არ ერგოს, როგორიცაა: „გრუზია", „თბილისური", „ქუთათური" და სხვა.

საზრუნავი და საფიქრალი არ ელევა ლილის. ჯერ უნდა გადაწყვიტოს — სად, რომელ ბინაში მოეწყოს საინკუბაციო კამერა, რომ ჯანსაღი მური მიიღოს, ჭიის გამოკვების დაწყებამდე ლილი რაიონის მეაბრეშუმე აგრონომებს თავს უყრის და მათთან ლექცია-სემინარებს ატარებს, აცნობს ყველა იმ სიახლეს, რაც უნდა დაინერგოს მეაბრეშუმეობაში, კიდევ და კიდევ შეახსენებს მათ აგროწესებს: კამერის დაკვირვებით შერჩევა-მოწყობას, საინკუბაციო კამერისა და საჭირო ინვენტარის დეზინფექციის აუცილებლობას, გრენის ინკუბაციის, აბრეშუმის ჭიის გამოკვებისა და მოვლის წესებს, ესაუბრება აბრეშუმის ჭიის გამოკვების ჩქაროსნულ მეთოდებზე. ფრთხილობს, შეცდომა არსად დაუშვან. მას მხარში უდგანან მოწინავე აგრონომი ქალები: სონია ქერქაძე, კაკალა ღლონტი, ტატიანა ბერიშვილი, ქსენია იმნაძე.

საკვები ბაზის გაუმჯობესებამ გაზარდა ხარისხიანი პარკის რაოდენობა.

მრავალი შესანიშნავი მეაბრეშუმე ქალი ჰყავს რაიონს, ისინი ჩქაროსნული მეთოდით კვებავენ ჭიას, ოცდათხუთმეტი დღის დაძაბული შრომით აღწევენ პარკის მიღებას. ჭიას დღე-ღამის განმავლობაში კვებავენ. პირველ ასაკში დღისით — 8-10-ჯერ, ღამით — 2-3-ჯერ, ბოლო მეხუთე ასაკში კვების რაოდენობა შემცირებულია.

გოგონა ქღენტმა, მანია ლომთათიძემ და გოლდა ვასაძემ წელს თითოეულმა სახელმწიფოს 200 კგ-ზე მეტი პარკი ჩააბარა. მათ წარჩინებული მეაბრეშუმის სახელი მიეკუთვნათ. მათი და მათი თანამოსაქმე ქალების დამსახურებაა ის, რომ ჩოხატაურის რაიონმა წელს პარკის დამზადების წლიური გეგმა 102 პროცენტით შეასრულა და გეგმით გათვალისწინებული 107 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 109 ტონა პარკი ჩააბარა.

ნანული ბუკია

მუნრო („საკი")

# ღია ფანჯარა

— დეიდა ახლავე გეახლებათ, მისტერ ნატელ, — თქვა თხუთმეტიოდე წლის პატარა ლედიმ, — მანამ კი ჩემი საზოგადოებით უნდა დაკმაყოფილდეთ.

ფრემტონ ნატელი შეეცადა ისეთი რამ ეთქვა, რაც ჯეროვნად ასიამოვნებდა მის წინ მდგარ გოგონას და არც დიასახლისს უგულვებელჰყოფდა, რომელიც წუთი წუთზე უნდა გამოჩენილიყო. პირადად იგი სულ უფრო და უფრო ეჭვობდა, ეს ფორმალური ვიზიტები სრულიად უცნობ ხალხთან, რაიმეს უშველის ჩემს ნერვებს, რომელთა სამკურნალოდაც აქ ჩამოვედიო.

— ვიცი, რაც მოხდება, — უთხრა დამ, როცა ფრემტონი სოფელში წასასვლელად ემზადებოდა, — შენ იქ გამოყრუვდები, კაცისშვილს ხმას არ გასცემ და მარტოობისა და უსაქმურობისაგან ნერვები უარესად აგეშლება. მე წერილებს გაგატან ყველასთან, ვისაც კი იქ ვიცნობდი. ზოგი მათგანი, რამდენადაც მახსოვს, საკმაოდ სასიამოვნო პიროვნება იყო.

ფრემტონს აინტერესებდა, ეკუთვნოდა თუ არა სასიამოვნო პიროვნებათა კატეგორიას მისის სეპლტონი, რომლისთვისაც მას მორიგი წერილი უნდა გადაეცა.

— ბევრს იცნობთ აქ? — ჰკითხა გოგონამ, როდესაც იფიქრა, უკვე ნაცნობები ვართ და დროა დუმილი დავარღვიოო.

— არავის, — მიუგო ფრემტონმა, — ჩემი და ისვენებდა აქ, პასტორის სახლში ამ ოთხიოდე წლის წინათ და სწორედ მან გამომატანა წერილები ზოგიერთ აქაურ მცხოვრებთან.

ეს უკანასკნელი განცხადება აშკარა სინანულით წარმოთქვა.

— მაშ თქვენ ფაქტიურად არაფერი იცით დეიდაჩემის შესახებ? — ჩაჰკითხა პატარა ლედიმ.

— მხოლოდ გვარი და მისამართი, — აღიარა სტუმარმა. მას აინტერესებდა, მისის სეპლტონი გათხოვილი იყო თუ ქვრივი. ოთახში რაღაც ამოუცნობი რამ, მამაკაცის არსებობაზე მეტყველებდა.

— მისი ტრაგედია სწორედ სამი წლის წინათ მოხდა, — თქვა ბავშვმა, — თქვენი დის აქ ყოფნის შემდეგ.

— ტრაგედია? — იკითხა ფრემტონმა. ამ მიყრუებულ სოფელში ტრაგედია როგორღაც უადგილოდ ეჩვენა.

— უთუოდ გიკვირთ, რატომ გვაქვს ფანჯარა ღია ოქტომბრის საღამოს, — თქვა გოგონამ და დიდ ფრანგულ ფანჯარაზე მიუთითა, რომელიც პატარა მდელოს გაჰყურებდა.

— წელიწადის ამ დროისათვის საკმაოდ თბილა, — წარმოთქვა ფრემტონმა, — მაგრამ ნუთუ ამ ფანჯარას რაიმე კავშირი აქვს ტრაგედიასთან?

— ამ ფანჯრიდან ზუსტად სამი წლის წინ მისი ქმარი და ორი უმცროსი ძმა სანადიროდ გავიდნენ და აღარ დაბრუნებულან. ნაჩვევ სანადირო ადგილებისკენ რომ მიემგზავრებოდნენ, ჭაობზე უნდა გაევლოთ და დაუნდობელმა ჭანჭრობმა შთანთქა ისინი. იმ წელს საშინელი წვიმიანი ზაფხული იდგა და ჩვეულებრივ საიმედო გადასასვლელი ადგილები ერთბაშად დაჭაობებულიყო. მათი გვამებიც კი აღარავის უნახავს... და ყველაზე შემზარავიც სწორედ ეს არის. — აქ ბავშვის ხმამ თავდაჭერილობა დაკარგა და სირბილე და გაუბედაობა შეეპარა. — საწყალი დეიდა! სულ იმას ფიქრობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისინი დაბრუნდებიან, ისინი და პატარა ყავისფერი სპანიელი, რომელიც მათთან ერთად დაიკარგა; და შემოვლენ ამ ფანჯარაში, როგორც ოდესღაც სჩვეოდათ ხოლმე. ამიტომაა, ყოველ საღამოს ფანჯარას გვიან ღამემდე ღიას რომ ვტოვებთ. საბრალო დეიდა! რამდენჯერ უამბნია, როგორ წავიდნენ: მის ქმარს თეთრი საწვიმარი ჰქონდა მკლავზე გადაგდებული, უმცროსი ძმა რონი კი დეიდას გასაღიზიანებლად მთელი ხმით გაჰკიოდა: „ბერტი, რატომ ცელქობ?", იცოდა, რომ ეს სიმღერა მას ნერვებს უშლიდა. იცით, ხანდახან, ასეთ წყნარ და მშვიდ საღამოს, როგორიც დღესაა, ჟრუანტელის მომგვრელი გრძნობა მეუფლება და მგონია, რომ ისინი მართლაც შემოვლენ ამ ფანჯარაში...

გოგონას გააჟრჟოლა და გაჩუმდა. ფრემტონმა შვებით ამოისუნთქა, როცა ოთახში დეიდა შემოიჭრა და ბოდიშების კორიანტელი დააყენა — სტუმართან გამოსვლა შემაგვიანდაო.

— ვფიქრობ, ვერამ კარგად გაგართოთ, — თქვა მან.

— დიახ, ძალიან საინტერესოდ ვისაუბრეთ, — მიუგო ფრემტონმა.

— იმედია, ღია ფანჯარა არ გაწუხებთ? — იკითხა მისის სეპლტონმა ანაზდად. — ჩემი მეუღლე და ძმები სადაცაა ნადირობიდან უნდა დაბრუნდნენ და მუდამ აქედან შემოდიან ხოლმე. დღეს ჭაობებში წავიდნენ ბეკასებზე სანადიროდ და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩააგდებენ ჩემს ხალიჩებს? მაგრამ ეს ისე გახასიათებთ თქვენ, მამაკაცებს!

იგი ხალისიანად განაგრძობდა ლაპარაკს ნადირობაზე, ფრინველის სიმცირეზე და იმაზე, თუ რა პირი უჩანდა ზამთარში იხვებზე ნადირობას. ფრემტონისათვის ეს ყველაფერი ნამდვილი წამება იყო. სცადა საუბარი რაიმე ნაკლებ შემზარავ თემაზე გადაეტანა, მაგრამ ამ სასოწარკვეთილმა ცდამ თითქმის უნაყოფოდ ჩაიარა: გრძნობდა, რომ მასპინძელი ყურადღების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს უთმობდა: ქალს თვალები წამდაუწუმ ღია ფანჯრისა და მის მიღმა მდებარე მდელოსკენ გაურბოდა. ნამდვილად უბედური დამთხვევა იყო, რომ სწორედ ამ საშინელი ტრაგედიის წლისთავზე იწვია ვიზიტით.

— ექიმებმა ერთხმად აღიარეს, რომ ჩემთვის საჭიროა დასვენება, სრული გონებრივი სიმშვიდე და ძლიერი ფიზიკური დაძაბვისაგან თავის არიდება, — დაიწყო ფრემტონმა, რომელიც იზიარებდა საყოველთაოდ გავრცელებულ მცდარ აზრს, თითქოს სრულიად უცნობ ადამიანებს და შემთხვევით ნაცნობებს საშინლად აინტერესებთ იცოდნენ უმცირესი დეტალებიც კი მათი სნეულებების, ამ სნეულებათა გამომწვევი მიზეზებისა და მკურნალობის მეთოდების შესახებ. — დიეტის თაობაზე მათ აგრერიგად შეთანხმებული აზრი არა აქვთ, — განაგრძობდა იგი.

— მართლა? — თქვა მისის სეპლტონმა ისეთი ხმით, რომელმაც უკანასკნელ მომენტში დამთქნარება შეცვალა და უცებ სახეზე გამოცოცხლება და გაფაციცებული ყურადღება დაეტყო, მაგრამ არა იმისადმი, რასაც ფრემტონი ეუბნებოდა.

— აი, ისინიც! — წამოიძახა მან, — სწორედ ჩაიზე მოგვისწრეს. შეხედეთ, თითქოს თავიდან ფეხებამდე ტალახში ამოუვლიათო!

ფრემტონს ოდნავ გააჟრჟოლა, მან გოგონასკენ მოიხედა, რათა თვალებით თანაგრძნობა გამოეხატა. ბავშვი გაფართოებული, შეშინებული თვალებით ფანჯარას მიშტერებოდა. გამოუცნობი შიშით შეპყრობილი ფრემტონი სწრაფად შემობრუნდა სკამზე და გოგონას მზერას თვალი გააყოლა.

ბინდბუნდში სამი ფიგურა გაარჩია. ისინი მდელოზე მოაბიჯებდნენ და ფანჯრისკენ მოემართებოდნენ. სამივეს იღლიაში თოფი ამოეჩარა, ერთ მათგანს თეთრი საწვიმარი ჰქონდა მხარზე გადაგდებული. მათ ფეხდაფეხ მოსდევდა დაღლილი, პატარა ყავისფერი სპანიელი. ისინი უხმოდ მოუახლოვდნენ სახლს და უცებ სიბნელეში ხრინწიანმა ხმამ წამოიმღერა: „ყური მიგდე, ბერტი, რატომ ცელქობ?"

ფრემტონმა ჯოხს და ქუდს სტაცა ხელი და თავქუდმოგლეჯილი გავარდა. უკანმოუხედავად გაირბინა დარბაზის კარი, მოკირწყლული გზა და ჭიშკარი. მისკენ მომავალი ველოსიპედისტი იძულებული გახდა ღობეს შეხეთქებოდა, როგორმე თავიდან რომ აეცილებინა გარდაუვალი შეჯახება.

— აი, ჩვენც მოვედით, ჩემო ძვირფასო, — თქვა საწვიმრიანმა კაცმა, და ფანჯარაში შემოაბიჯა. — მთლიანად ტალახში ამოვიგანგლეთ, მაგრამ თითქმის უკვე შეგვაშრა. ეს ვინ იყო, ტყვიასავით რომ გავარდა?

— ერთი ფრიად უცნაური კაცი იყო, ვინმე მისტერ ნატელი, — უპასუხა მისის სეპლტონმა, — მხოლოდ თავის ავადმყოფობებზე მელაპარაკებოდა და თქვენი გამოჩენისთანავე ყოველგვარი ბოდიშისა და გამომშვიდობების გარეშე გავარდა. კაცი იფიქრებდა, მოჩვენება დაინახაო.

— მე ვფიქრობ, სპანიელის ბრალია, — თქვა გოგონამ დინჯად. — მითხრა, საშინლად მეშინია ძაღლებისო. ერთხელ სადღაც, განგის პირას მაწანწალა ძაღლები გამოჰკიდებიან თურმე სასაფლაოზე და მთელი ღამე ახლადმოთხრილ საფლავში გაეტარებინა. ძაღლები კი ზემოდან დაჰყმუოდნენ, კბილებს კრეჭდნენ და ცოფს ყრიდნენ. რა გასაკვირია, რომ შეშინებოდა.

სახელდახელო ტყუილების შეთხზვა გოგონას საყვარელი გასართობი გახლდათ.

ინგლისურიდან თარგმნა
ნანი ცენტერაძემ

# შინმოუსვლელთა წყარო

მერცხლის ბუდესავით მიჭკვრია მთის წვერს ქუდურა, ალაზნის ველიდან მონაბერი ნიავი მუხლჩაუხრელად ჩამოურბენს ფერდობებზე გაშლილ ვენახებს, მშვიდობის დილას უსურვებს და საღამომდე კაკლების ჩრდილში მიყუჩდება...

ასე არის ახლა... ასე იყო მაშინაც...

ნიავს და მზეს დაასწრებდა იოსები ადგომას. კოკებს ხელს წამოავლებდა და ნიავივით მსუბუქად ჩაირბენდა მთის ფერდზე დაკიდებულ ბილიკს. „კონსტანტინეს წყაროსთან" შეისვენებდა ცოტას, კოკებს აავსებდა და ახლა ზევით შეუყვებოდა ბილიკს. შემდეგ დედის ნახელავ შოთსა და გუდის ყველს წაიმტვრევდა, წიგნებს იღლიაში ამოიჩრიდა და გაუდგებოდა გზას. მიდიოდა და ოცნებობდა. გზაც ყოფნიდა და დროც. ხარბად მოავლებდა თვალს ქვევით გაშლილ სოფელს, ალაზნის ველზე ჩაშავებულ ვენახებს. შემდეგ გამოვლილ გზას უკან გახედავდა და უწყლობით შეწუხებულ ხეხილს მზრუნველად შეათვალიერებდა. „ქუდურაში რომ წყალი ამომაყვანინა!" — ინატრებდა ამას და, ისევ გზას განაგრძობდა.

მიდიოდა სიყვარულით გულამღერებული ჭაბუკი და იმასაც ნატრობდა, თავისი გულის დამტყვევებელი ქუდურაში დაეტყვევებინა.

ცხოვრობდა ჭაბუკი ქუდურაში, სწავლობდა, ოცნებობდა, უყვარდა.

არ დასცალდა ოცნების შესრულება, სწავლის დასრულება. სამშობლოს დასაცავად წავიდა ბუდიდად ახლადგადმოფრენილი. მასთან ერთად ბევრი ქუდურელი წავიდა მაშინ. წასვლისას ნატვრა დაპირებად დაუგდეს შინ დარჩენილებს: „მალე დავბრუნდებით და წყალს ამოგიყვანთ ქუდურაშიო!"

იოსებ ალხანიშვილი სამხედრო ნაწილში არჩილ მირიანაშვილს შეხვდა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ არჩილმა მშობლიურ ანაგაში დაიწყო მუშაობა მასწავლებლად. იმ წელსვე გაიწვიეს ჯარში.

ერთი უბნის ბიჭებმა გაიხარეს ერთმანეთის ნახვით და აღარც მოშორებიან ერთმანეთს.

ტყვეობა... საფრანგეთი... ბევრი ქართველი იყო ბანაკში, მაგრამ ქუდურელი ჭაბუკები ტყუპებივით განუყრელი იყვნენ. ერთად ოცნებობდნენ მშობლიურ ქუდურაზე და... გაქცევაზე.

ბანაკიდან გაქცევა და პარტიზანებთან შეერთება რომ გადაწყდა, ისევ ერთად იყვნენ ქუდურელი ძმადნაფიცები.

მტერთან შეტაკებაში დაჭრილი დაეცა არჩილი. დაჭრილი ქართველები, მათ შორის იოსებიც, ისევ ჩაიგდეს გერმანელებმა ხელში. ორ ცეცხლს შუა იყვნენ ქართველები. მაშინ თვითონ არჩილმა გადაწყვიტა თავისი ბედი.

განა ტყვეობიდან იმიტომ გაიქცა, რომ ისევ გერმანელებს ჩავარდნოდა ხელში?! პისტოლეტი აღმართა შუბლზე მისადებად...

გამძვინვარებულ მხეცთა ანგარიშსწორება პატრიოტებთან... რვა სიკვდილის ბოძი...

სანამ იოსების თვალებში სიცოცხლე იდგა, ქუდურას არ გაშორებია ფიქრით. რამდენი ოცნება დარჩა აუხდენელი?! — ერთხელ მაინც მაჩვენა დედის სახე! — ნატვრის დასრულებაც ვერ მოასწრო, გერმანელის ტყვიამ შეწყვიტა სიცოცხლე...

გადაიარა ომის ქარიშხალმა. ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. ომში წასული ორი ძმიდან ერთი დაბრუნდა — ბეჟანი.

დედის გულში სიხარულთან ერთად შინმოუსვლელ ჭაბუკზე დარდმა დაიბუდა.

ბეჟან ალხანიშვილმა პედაგოგი ქალიშვილი შეიყვარა, იმერელი პატარძალი მოუყვანა დედას. მალე შვილიშვილების ჭიკჭიკმა გაუხარა დამწუხრებული გული მოხუცს. ქმრის ოჯახში შემოსვლისთანავე მერიმ შეიგრძნო ამ უბნის სანუკვარი ოცნება. დედამთილმა ცრემლის ღვრითა და ოხვრით გაანდო შვილის ვაჟკაცური სიკვდილისა და შინმოუსვლელი ვაჟკაცების აუხდენელი ნატვრის შესახებ, „ნეტავ ქუდურაში წყალი ამოგვაყვანიაო". გულმა გაიწია და მერიც გაჰყვა გულის ნაკარნახევს.

„რომ დაბრუნებულიყვნენ, — ფიქრობდა მერი, — წყალს ამოიყვანდნენ ქუდურაში, მოხუცი დედები გაიხარებდნენ"... და გადაწყვიტა თვითონ აესრულებინა ეს განზრახვა. ოცნებითა და იმედით სავსე ხშირად მოინახულებდა „მთავარანგელოზის" მთის ძირიდან მოჩხრიალე წყაროს.

სად არ მივიდა და სად არ ითხოვა დახმარებოდნენ ქუდურაში წყალი აეყვანა. ყველგან უარი უთხრეს: აუხდენელი რამ განგიზრახავსო. თითქოს ხელი უნდა ჩაექნია, მაგრამ უფრო გაკაჟდა. „ანაგის დეპუტატს მოვძებნი და დახმარებას ვთხოვ!" — გადაწყვიტა მერიმ. დეპუტატი თვით წყალთა მეურნეობის მინისტრი გამოდგა.

— შინმოუსვლელთა მოსაგონარად, მათი სახელის უკვდავსაყოფად დიოდეს წყარო ქუდურაში! — სთხოვა მერიმ და მინისტრმაც ვერ უთხრა უარი. თითქოს კეთილად დამთავრდა ყველაფერი. მაინც რამდენი სირბილი და დევნა, ფიქრი და ღამის ტეხა დასჭირდა მერის, რომ შეპირებული აესრულებინა ქუდურელებისათვის. დრო, ჯაფა და ენერგია არ დაზოგა და აუსრულა ნატვრა უწყლობით გულგაწყალებულ ხალხს.

წყალი მოვიდა ქუდურაში. წელში გაიმართა ხეხილი. აშრიალდა ჩამუქებული ვენახი.

შინმოუსვლელ პატრიოტებზე სხვებიც ფიქრობდნენ. ხალხი არ ივიწყებს გმირებს. ფრანგმა ხალხმაც დიდი სიყვარულით მოიგონა მათ მიწაზე მებრძოლი ქართველი ვაჟკაცები. ამა წლის 19 მაისის „კომუნისტი" იუწყებოდა, რომ 9 ქართველი გმირის საფლავზე საფრანგეთში აღიმართა მათი სახელის უკვდავსაყოფი ობელისკი.

წვანან ქუდურელი ჭაბუკები ძმათა საფლავში და თითქოს იქიდანაც სიყვარულითა და მზრუნველობით გამოსცქერიან მშობლიურ ქუდურას.

მათ ქუდურაში კი...

ნიავი წყნარად აშრიალებს უბის წიგნაკის ჩაყვითლებულ ფურცლებს. ამწვანებულ ეზოში სისხლისფერი ვარდები ყვავიან.

...მე ვშლი თუ ნიავი მეშველება უბის წიგნაკის გადაფურცვლაში?! აქვეა თინა ფხოველიშვილის ჩაყვითლებული წერილები — იოსებს და თინას წრფელად უყვარდა ერთმანეთი. დიდმა სიყვარულმა ორთავე იქ მიიყვანა, სადაც უფრო საჭირო იყვნენ და სიცოცხლეც სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანეს. მოხუც დედას იოსებისა და თინას სურათები და გაყვითლებული წერილებიღა დარჩა მოსაგონარად.

ალაზნის ველიდან ისევ მორბის ცელქი ნიავი. სადღაც ახლოს წყლის ჩხრიალი მესმის. წყალი, ქუდურასთვის წლობით სანატრელი წყალი!

ახლა ქურდულებს აღარ უხდებათ შორს სიარული წყალზე, აქვე მოჩუხჩუხებს ანკარა წყარო.

— ნეტავი მერის სიკეთეს რა გადაიხდის?! — მეზობლების მადლობას ყურს არიდებს მერი, ეუხერხულება.

განა მადლობაზე ფიქრობდა?! ხალხზე ფიქრობდა, შინ მოუსვლელ ჭაბუკებზე, ომში დაღუპულ თინა ფხოველიშვილზე, ამ სოფლის პატარძალი რომ უნდა გამხდარიყო, ისიც ხომ შინმოუსვლელი გმირია იოსების დედისთვის?! ის აწუხებდა მერის, რომ წყალი თუ არ ექნებოდა ქუდურას, ვერ გაუძლებდა ხალხი, დატოვებდა ამ ადგილებს, წავიდოდა ბარად, დაიკარგებოდა წინაპართა კვალი.

მხიარულად მოჩხრიალებს „შინმოუსვლელთა წყარო".

ზაირა თალაკვაძე

**ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის**

# იმ დროიდან დრომდე...



სამოცდასამჯერ სამასსამოცი დღე ჩამოსწოლია ბეჭებზე, მაგრამ თვალებში ნათელი უდგას და ვერცხლის წყალივით მოძრავია. ამბროლაურში მოამაგე ქალს ეძახიან, თანასოფლელები კი — გაჭირვების ტალკვესს. თუმც იმ დღეებიდან დღემდე ძნელად სავლელი გზით იარა, მაგრამ არასოდეს არაფერი გასჭირვებია, რადგან ხოფლელებმა რომ მათთვის თავდადებული ადამიანი ნახეს, გულით შეიყვარეს და მხარდამხარ მიჰყვებოდნენ მას.

ალექსანდრა კიკვიძე ჯერ კიდევ 1923 წელს შევიდა კომკავშირში, საქმეში გაბედული, გამჭრიახი ქალიშვილი კომკავშირლებმა მალე პირველადი ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს. უთვალავი საზრუნავი გაუჩნდა ალექსანდრას. მაშინ უჭირდათ ადამიანებს. იგი მიდიოდა მათთან, თავმდაბალი და ალერსიანი, მადლიან სიტყვას ეტყოდა, ანუგეშებდა. მერე ალექსანდრა ამხანაგებთან მოითათბირებდა და სხვადასხვა ღონისძიებას სახავდა მათ დასახმარებლად: ზოგს ჭირნახულს მიუზიდავდნენ შინ, ზოგს სათბობს მოუმარაგებდნენ, ზოგს კიდევ სახლის სახურავს შეუკეთებდნენ, ხშირად მოჰყავდათ აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი, საკუთარი ძალებით მართავდნენ კონცერტებს ქვრივ-ობლებისა და ავადმყოფთა დასახმარებლად. იგი უანგაროდ აკეთებდა ყველაფერს, რისი გაკეთებაც შეეძლო. ყოველი ახალი წამოწყების სათავეში იდგა. ზრუნავდა გზების შეკეთებისათვის, რადგან იცოდა ამ გზას შემოჰქონდა სოფელში სინათლე, ამ გზას მოჰყვებოდა ბედნიერება.

ერთხელ კომკავშირელებმა გადაწყვიტეს, პატარა ონიდან ჭრებალომდე გზის გაყვანა. ალექსანდრამ დარაზმა სოფლის ახალგაზრდობა, ისინი ხალისითა და ენერგიით შეუდგნენ საქმეს. აფეთქებდნენ კლდეებს, ურმით თუ ზურგით გადაჰქონდათ კლდის ნამსხვრევები და როცა განიერი გზა გაიჭიმა, ჭრებალოს გზაზე მანქანის საყვირი აზუზუნდა და ქორივით გაიჭრა ონისაკენ, ალექსანდრა ხელიდან ხელში გადაჰყავდათ თანასოფლელებს.

მერე ქალიშვილი ლადიშის სასოფლო საბჭოს დელეგატი ქალების ხელმძღვანელად აირჩიეს და აქაც ერთგულად ასრულებდა თავის მოვალეობას.

1927 წელს ალექსანდრა პარტიის რიგებში ჩადგა. მალე იგი ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტთან არსებულ ქალთა შორის მომუშავეთა ექვსთვიან კურსებზე გაგზავნეს. დაამთავრა კურსები და ონის პარტიის რაიკომში ქალთა განყოფილების გამგედ დანიშნეს. აქ ალექსანდრა ქალთა უფლებების დაცვისა და მათი პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის ზრუნვასთან ერთად სხვა კეთილი საქმეებისათვისაც იღწვოდა.

პარტიულ კომიტეტებთან ქალთა განყოფილებების გაუქმების შემდეგ ქალიშვილმა ჭრებალოს სარეწაო არტელების გამგეობის თავმჯდომარედ დაიწყო მუშაობა.

1938 წელს ალექსანდრა მოავლინეს თბილისში, უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელიც 1936 წელს დაამთავრა და მესტიაში გაიგზავნა ქალთა შორის მომუშავედ. სვანებმა მინდობა და ერთგულება იციან. ალექსანდრამ თავისი უბრალოებითა და პირდაპირობით მალე გაიკაფა გზა მათი გულებისაკენ. მორცხვი სვანი ქალებიც ხშირად მიდიოდნენ მასთან და თავიანთ ჭირსა და ლხინს უზიარებდნენ. მათზე ფიქრში ტეხდა ღამეებს, მათ დასახმარებლად მრავალჯერ გადაუსერავს ცხენით თუ ფეხით, დარსა თუ ავდარში ციცაბო მთები.

1938 წელს ალექსანდრა პარტიის საგარეჯოს რაიკომის ინსტრუქტორ-პროპაგანდისტად მუშაობს, მერე იქვე პარტკაბინეტის გამგედ გადაიყვანეს. არსად შეურცხვენია შრომისმოყვარე ქალს თავი.

1939-1941 წლებში, ჩვენი ქვეყნისათვის ამ მეტად მძიმე პერიოდში, ალექსანდრა პარტიულ კაბინეტს ხელმძღვანელობდა ყვარელში და დიდ საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა რაიონის მშრომელთა შორის, ფრონტის დასახმარებლად რაზმავდა მათ, მხნეობას და იმედს უნერგავდა ადამიანებს.

1945 წლის დამდეგს ალექსანდრა ისევ თავის კუთხეს, ამბროლაურს დაუბრუნდა და ადგილობრივი რადიოგადაცემის პასუხისმგებელ რედაქტორად დაიწყო მუშაობა. მერე კი რაიონული გაზეთის რედაქციაში მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგედ დანიშნეს.

ოცდაჩვიდმეტი წელი ემსახურა ალექსანდრა ხალხსა და სამშობლოს, ოცდაჩვიდმეტი წლის მანძილზე მხოლოდ კარგს თესავდა იგი და მერე, როცა დაღლა იგრძნო და ძალამაც უმტყუნა, პენსიაში გავიდა. მაგრამ არ გეგონოთ გულხელდაკრეფილი იჯდეს. ახლაც ხშირად აკითხავენ მას და რჩევა-დარიგებას სთხოვენ. ეს ხანდაზმული ქალი, როგორც ყოველთვის, ახლაც მზად არის ისევ ისე ამხედრდეს ცხენზე, გადასეროს მთები და დაეხმაროს ადამიანებს.

ოლია რევია

# ქართველ ქალთა სახელები და მზე...

მზის თაყვანისცემა საქართველოში უძველესი დროიდანვე ფრიად გავრცელებული ყოფილა; მზე ითვლებოდა ყველაზე პატივსაცემ ღვთაებად.

ხალხი მზის სახით ხედავდა მშობელს. ˋოამაგეს... მზე-ნათელი, სხივმოსილი, მზრუნველი — ამწიფებდა წლის სარჩოს, აჯანსაღებდა ჰაერს, აშრობდა ჭაობსა და ტალახს, ათბობდა ადამიანის სხეულს. მზე იყო ღმერთი, რომელსაც გაანდობდნენ გულის სატკივარს, რომლისგანაც მოწყალებას მოელოდნენ ადამიანები.

დღეგრძელობასთან ერთად მზეგრძელობასაც უსურვებდნენ ერთმანეთს, რადგან უმზეოდ დღე არ სურდათ ენახათ. მზე სინონიმი იყო სინათლის, მარადიულობის, სიხარულის და ბედნიერების, ამიტომ იყო, რომ ახლადდაქორწინებულთ დიად მნათობებს შეადარებდნენ ხოლმე — მზე და მთვარესავით შეაბერდით ერთმანეთსო...

მზის დიდმა სიყვარულმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ქართულ სახელებში, უმეტესად ქალთა სახელებში.

ქალთა ქართული სახელები დაკავშირებულია ბუნებრივ მოვლენებთან (ფიფქია, ჟუჟუნა, ციური, ცისანა, ნათელა, ციალა და სხვა), მცენარეთა სახელებთან (ია, ვარდო, მაყვალა, ფოთოლა, ენძელა და სხვ.), მშობლიურ გრძნობასთან (გულსუნდა, გულიკო, დედისიმედი, თათია, ხატულა, მამისთვალა, ცაცუნა და სხვ.).

მზესთან ბევრი სახელია დაკავშირებული, რის მიზეზადაც, ნაწილობრივ, სიტყვა „მზის" ფონეტიკური მოქნილობა უნდა ჩაითვალოს. მაგრამ უმთავრესი მიზეზი ის სიყვარულია, რომელიც აკავშირებდა ხალხს მზესთან. რადგან მზე ქალთა სქესის წარმომადგენლად ითვლებოდა, ამიტომ, მზესთან დაკავშირებულ სახელთა უმეტესი ნაწილი ქალებს ეკუთვნის. ეს სახელებია: ქალთამზე, მზია, დედამზე, მზიულა, მზისა, მზევინარ, მზექალა, ხვარამზე, მზეთვალა, მზისადარ, მზეთამზე, თვალთამზე, იამზე, მზეონა, გულიმზე, იათამზე, მზისავარ, მზისახარ და სხვა.

გამონაკლის შემთხვევებში გვხვდება მამაკაცთა სახელებიც: მამამზე, რამზე, მზეჭაბუკ...

ხალხური გადმოცემით თამარ მეფეს პირიმზე რქმევია. შესაძლოა, თვით ხალხმა შეარქვა ეს სახელი მეფეს, ვის გამოხედვაშიც მზის ამოსვლა ეჩვენებოდათ...

უცხოელი მოგზაურები აღტაცებულნი იყვნენ ქართველ ქალთა სილამაზით. თუმცა მათი სახელები მათ არაფერს ეუბნებოდა. ჩვენ კი ვიცით, რომ იმ ლამაზ ქალებს სახელებიც ლამაზი ჰქონდათ და, ვფიქრობთ, ეს სახელები არ უნდა მიეცეს დავიწყებას.

ბიძინა ჟუჟნია

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსულიდან

# ტასო ვაქირელი

ცნობილია დიდი ქართველი პედაგოგისა და საბავშვო მწერლის იაკობ გოგებაშვილის მიერ ბავშვებისათვის დაწერილი მეტად საინტერესო მოთხრობა: „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“. ამ მოთხრობაში მოყვანილი ამბავი, თვითონ ავტორის გადმოცემით, ხალხური თქმულებიდან მომდინარეობს. „ეს ამბავი ქლიავის სროლისა ჩვენი მოგონილი არ არის, ხალხის თქმულებას შეადგენსო“ — წერდა მწერალი.

ეს ხალხური გადმოცემა მეფე ერეკლესა და ქართველი გოგონას შესახებ ჩაუწერია გასული საუკუნის ქართული კულტურის მოღვაწესა და მწერალს — ნიკოლოზ გამრეკელს და იგი გიორგი ერისთავის მიერ დაარსებულ ჟურნალ „ცისკარში“ დაუბეჭდია 1858 წელს ასეთი სათაურით: „სულგრძელობა საქართველოს მეფის ირაკლი მეორისა“.

აი, ეს თქმულებაც:

„საქართველოს მეფე ირაკლი მეორე ერთ ხანს სპარსეთში იყო. იქ მან მიიღო ჩვეულება: თავზე სპარსულ ქუდს იხურავდა, წელზე კი შალს შემოიკრავდა ხოლმე. ერთი შეხედვით იგი სპარსელს ჰგავდა. ეს გარემოება გახდა მიზეზი ერთი საოცარი შემთხვევისა: ერთ ზაფხულს ირაკლი მეფემ გაიარა ქალაქ სიღნაღის ახლო სოფელ ვაქირში. რამდენიმე წამს შეეფარა დიდ ფოთლიან ლეღვის ჩრდილში. ხე მწიფე ლეღვით იყო დახუნძლული.

ერთი ყმაწვილი ქალი, დამალული ლეღვის ფოთლებში, კრეფდა ლეღვს. ამ დროს მან დაინახა სპარსულ ტანსაცმელში ვიღაც კაცი, დაუწყო დაცინვა. მან არ იცოდა თუ იგი მეფე ირაკლი იყო. მეფემ ამის გაგონებაზე არაფერი თქვა: არც მუქარა და არც დაყვედრება. ამან გაათამამა პატარა გოგონა. მანამდე მეფე ხის ქვეშ იმყოფებოდა, ვერაფერი გაბედა, და როდესაც ცოტას გასცილდა, აიღო ერთი მუჭა მწიფე ლეღვი და სტყორცნა მეფე ირაკლის კეფაში, მეფის მხლებლები ამაზე განცვიფრდნენ და დაუწყეს დამნაშავეს ძებნა. მწვანე ლეღვის ხის ფოთლებში გამოჩნდა სახე პატარა გოგონასი, რომელსაც ხის ტოტზე კალათი ედგა. გოგონას დახეული ტანსაცმელი ეცვა, ზრდილი და დიდსულოვანი მეფე ირაკლი მშვიდად გაემგზავრა თავის გზაზედ.

ეს ამბავი მთელმა სოფელმა შეიტყო. გოგოს დედ-მამა ძალიან უჯავრდებოდნენ შვილს მეფისათვის ასეთი მოქცევის გამო. მათ იფიქრეს პატიება ეთხოვათ მეფისათვის.

სოფელ საქობოში მეფის გარშემო ხალხი შეკრებილიყო, გოგონას მამაც იქით გაემართა. იგი მეფემ მიიღო და მოუსმინა: „ერთი ქალი მყავს და იმისგან ვიყავი მრავალჯერ შერცხვენილი, ხოლო ეხლა სუყველა წყენას გადააჭარბა და ყველაზე საგრძნობი იყო თქვენი წყენა. მე თავზარი დამცა თქვენმა წყენამ, თქვენმა კაცთმოყვარეობამ და სულგრძელობამ გამაბედინეს თქვენთან სათხოვნელად მოსვლა. ნუ გაგვიწყრებით და აპატიეთ სიცელქე ჩემს ყმაწვილ ქალსა. მან არ იცოდა, ამით გამართლება აქვს. ხომ მოგეხსენებათ, არ ცოდნა არცოდვა არისო“.

ამის გაგონებაზე მეფეს სახეზე მხიარულება გადაეფინა, შეიწყნარა მოხუცი კაცი და გააწხიარულა. მისცა რამდენიმე თეთრი ფული და სიცილით უთხრა: „უთუოდ ხეზე ბღლაძუნითა უხევია შენ ქალს ტანისამოსი, წადი და იმ შენ ცელქ, ანც გოგოს უყიდე ამით საცმელი“.

მთელი სოფელი მოელოდა ცელქი გოგოს მამის უკან მოსვლასა და ამბის მოტანას. როდესაც მოვიდა, ხალხი გარს შემოეხვია და ჰკითხავდნენ: მეფე ხომ არ გაგიწყრაო. იგი უპასუხებდა. „ბედნიერება და დღეგრძელობა მისცეს ღმერთმა ჩვენ მეფესა და პატრონს, რადგან ასეთი სულგრძელი გვყავსო. მისი გული აღვსილია ჩვენს მიმართ სიყვარულით. არა თუ დამსაჯა, არამედ დამასაჩუქრა და წყალობით გამომისტუმრა“...

გოგებაშვილს თავისი მოთხრობის მოქმედების ადგილი ქიზიყიდან საინგილოში გადაუტანია, ვაქირელი გოგონა ინგილო ქალად უქცევია, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. მწერლისათვის ასეთი ხერხი ბუნებრივია. მეტად საინტერესოა ნ. გამრეკელის მიერ ჩაწერილი ხალხური თქმულების ზოგიერთი ცნობა. ამ თქმულებაში შემონახულია როგორც ვაქირელი გოგონას სადაურობა, ისე მისი სახელიც. მას სახელად ტასო რქმევია (სამწუხაროდ, დღემდე მისი გვარი ცნობილი არ არის), აქედანვე ვიცით ისიც, თუ რომელ წლებში უცხოვრია ტასო ვაქირელს. თქმულება მოგვითხრობს, რომ ეს ამბავი მომხდარა 1770 წელს. ი. გოგებაშვილის მოთხრობაშიც სწორედ ეს დრო არის დასახელებული. მწერალი წერს: „ამის შემდეგ განვლო კიდევ ოცდახუთმა წელმა, კრწანისის ველზე თბილისის ძირში საშინელი ომი იყო“. საქართველოს ისტორიიდან კი ცნობილია, რომ კრწანისის ომი 1795 წელს მოხდა.

ტასო ვაქირელს დიდხანს უცოცხლია. ირკვევა, რომ ეს ამბავი ნ. გამრეკელისათვის თვითონ მას უამბნია. ამაში გვარწმუნებს თქმულების ერთი ადგილი: „საკვირველება და შიში ხარობდა მოხუცებულ დედაკაც ტასოს სახეზედ, როდესაც ის მოიგონებდა ხოლმე სიცელქეს ყმაწვილობისას, უეცრად მეფის წყენასა და წითლდებოდა ამაზედ, რომელიც დიდი ხანია რაც მოხდა. თითქმის ერთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ“.

ტასო ვაქირელი მოესწრო კრწანისის ომს და მისთვის საყვარელი მეფის ირაკლის სიკვდილსაც. ტასო ვაქირელის შვილებს მონაწილეობა მიუღიათ კრწანისის გმირულ ბრძოლებში.

ტასო ვაქირელის გარშემო ირკვევა სხვა მეტად საინტერესო ამბებიც.

რუსეთის აკადემიის პირველ ქართველ აკადემიკოსს თეიმურაზ ბაგრატიონს აღწერილი აქვა XVIII საუკუნის გლოვის იშვიათი იმპროვიზაცია. „მოვიდა სოფლელი დედაკაცი ქიზიყიდან, — აღნიშნავს თეიმურაზი, — და მეფე ერეკლეს ცხედარი დაიტირა ძლიერად. სიტყვებში აღნიშნავდა, ყველა ღირსსახსოვარ საქმეს, რაც მეფეს თავის ქვეყნისათვის გაეკეთებინა. ყველა იქ დამსწრენი ყურმიპყრობილნი იყო ამ დედაკაცისაკენ და „სტიროდეს გოდებითა დიდითა“. ყველა გაკვირვებული იყო იმით, თუ სოფლელმა დედაკაცმა როგორ შეძლო ასე შესაბამისი სიტყვებით მეფის დიდებული ცხედრის დატირებაო. ბოლოს თეიმურაზი ასკვნის: „თუმცა მრავალმა დაიტირა საყვარელი მეფის ცხედარი, მაგრამ ყველას აღემატებოდნენ მეფის მდივანი სოლომონ მსაჯული (ლეონიძე. ვ. ს.) „კაცი განსწავლული და პატიოსანი“. და მეორე ქიზიყელი ქვრივი დედაკაცი, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ“. „...მოვიდა დედაკაცი ვინმე მაშინ ქიზიყისა მცხოვრებთაგანი, — წერს თეიმურაზი — ქვრივი მოხუცებისა ასაკსა მიწევნილი; თუმცაღა იყო იგი მდაბიოთა ერისაგან, მაგრამ ცნობილი მეფეთა მიერ და შეწყნარებული კარსა ზედა მეფისასა. იწყო ამან ხმითა მაღლითა ტირილად. და ესრეთისა შესაბამითა სიტყვებითა, ტირილსა მას შინა მოიღებდა თვითეულთა ღირს-სახსოვართა საქმეთა მეფისა მიერ ქმნულთა, რომელ ყოველნი მსმენელნი სიტყვათა მათ უმეტეს ლმობიერ იქმნებოდეს და სტიროდეს გოდებითა დიდითა და ყოველთა მიეპყროთ ყური მისა მიმართ. და განუკვირდებოდათ თუ ვითარ ერთმან მსოფლიმან დედაკაცმან ესრეთ შესაბამისა სიტყვებითა დაიტირა გვამი დიდებულისა მეფისა...“

ვინ იყო ეს ქვრივი მოხუცი ქიზიყელი დედაკაცი, რომელმაც გულით დაიტირა მეფე ერეკლეს ცხედარი და რომელსაც თეიმურაზ ბაგრატიონი ბრწყინვალე მჭევრმეტყველისა და ორატორის — სოლომონ ლეონიძის გვერდით აყენებს?

ამ ქართველი დედის ვინაობაზე თეიმურაზ ბაგრატიონი არაფერს არ წერს. იგი მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ აღნიშნავს: ეს ქალი ქიზიყელი იყოო. ავტორი თავის შრომას — „მეფე ერეკლე“ თავის პაპის სიკვდილიდან კარგა დიდი ხნის შემდეგ წერდა და შეიძლება მას აღარც კი მოაგონდა ამ დედაკაცის სახელი, გვარი ან სადაურობა. ადრე კი მას ეს უეჭველად უნდა სცოდნოდა.

ჩვენი აზრით, ეს ქიზიყელი ქალი სოფელ ვაქირის მკვიდრი ტასო ვაქირელი იყო.

როგორც ჩანს, ტასო ვაქირელმა ერთ ხანს (ეს, ალბათ, როცა ქმარ-შვილი ამოუწყდა,) თავშესაფარი ჰპოვა მეფეთა სასახლეში. იგი იყო „ცნობილი მეფეთა და შეწყნარებული კარსა ზედა მეფისასა“.

ტასო ვაქირელის მონათხრობი ნ. გამრეკელს ჩაუწერია XIX საუკუნის შუაწლებში, მაშასადამე, ტასო ვაქირელს უცოცხლია თითქმის ერთი საუკუნე, თუ მეტი არა.

ამგვარად, უნდა დავასკვნათ, რომ მეფე ერეკლეს ცხედრის მოტირალი ქალი, რომელმაც მთელი საქართველო განაცვიფრა გლოვის იმპროვიზაციით, და რომელსაც თეიმურაზ ბაგრატიონმა საქართველოს მატიანეში საპატიო ადგილი მიუჩინა, ქიზიყის სოფელ ვაქირის მკვიდრი ტასო ვაქირელი იყო.

ვახტანგ სიდამონიძე



მხატვარი დ. ხაინდრავა

# წარსულის გადმონაშთები

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ ქალს თავისუფლება მოუტანა, გახადა იგი საზოგადოების ღირსეული წევრი. ქალი ახლა ტოლს არ უგდებს მამაკაცს, იბრძვის და შრომობს მამაკაცის მხარდამხარ, ქმნის სახალხო დოვლათს, აკეთებს აღმოჩენებს, დაფრინავს კოსმოსში.

ამ, დღესავით ნათელი ამბის შეხსენება იმიტომ დაგვჭირდა, რომ კიდევ ერთხელ მკვეთრად გავუსვათ ხაზი ქალის საზოგადოებრივი შრომის მნიშვნელობასა და ნაყოფიერებას.

მაგრამ ქალი დარჩა ისევ დიასახლისად, შვილების თავდადებულ აღმზრდელად, ხელგაშლილ მასპინძლად. ამ ფუნქციების შესრულება კი დღეს გაცილებით მეტ სირთულეს წარმოადგენს, ვიდრე თუნდაც ამ ერთი ათეული წლის წინათ. ჩვენი ეპოქის არნახული ტემპები, მაღალი კულტურული დონე დედისა და დიასახლისის შრომას აათკეცებს.

ხშირად გაიგონებთ დედების ჩივილს, რომ შვილებს მეცადინეობის დროს გვერდით უსხედან და ეხმარებიან. ზოგი იუმორსაც მოიშველიებს ხოლმე: წელს მესამედ ვამთავრებ (ალბათ ორი შვილი ჰყავს) საშუალო სკოლასო. ზოგიერთი კი სერიოზულად გულმოსულია, ჩვენც კი ვსწავლობდით, მაგრამ ჩვენმა მშობლებმა სკოლის კარი საით იღებოდა, არ იცოდნენო.

ანდა, როდის ჰქონდა ქალს ასეთი საპრიალებელი პარკეტის იატაკი და პრიალა ავეჯი.

როცა რედაქციის ფოსტაში კარგა ბლომად დაგროვდა წერილები, რომლებშიც დიასახლისი-მოსამსახურე ქალები თავიანთი გამოუვალი მდგომარეობის შესახებ გვწერენ: სად იშოვნონ მრეცხავი, ავადმყოფის მომვლელი ქალი, ვის გადააკეთებინონ ტანსაცმელი, რატომ არ შეიძლება ისეთი სამზარეულოების შექმნა, სადაც ხელმისაწვდომ ფასებში კარგად დამზადებულ კერძებს იყიდიან და სხვა მრავალი რამ, რედაქციამ გადაწყვიტა მოეწვია მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები და მათთან ერთად ემსჯელა ასეთ მტკივნეულ საკითხებზე.

როგორც ცნობილია, ეს სამმართველო საქართველოში კარგა ხანია მუშაობს და საკმაოდ ფართო საქმიანობა აქვს დაკისრებული. მაგრამ როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ეპოქის გიგანტურ ნაბიჯებს ფეხის აწყობა სჭირდება, სწორედ ამ საკითხზე ილაპარაკა სამმართველოს უფროსმა ამხ. ფ. დუმბაძემ.

— საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის დონის ამაღლება, — სთქვა მან, — დიდად არის დამოკიდებული საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაზე. სკკპ 23-ე ყრილობაზე ამხ. ა. ნ. კოსიგინის მოხსენებაში ნათქვამია: „საყოფაცხოვრებო მომსახურება სახალხო მეურნეობის ერთერთ ტექნიკურად აღჭურვილ დარგად უნდა გადავაქციოთ". ამისათვის შეიქმნება ხელსაყრელი პირობები: მნიშვნელოვნად გადიდდება საყოფაცხოვრებო მანქანების და მექანიზმების გამოშვება, კერძოდ სამრეცხაო მოწყობილობის, ტანსაცმლის ქიმიური წმენდის, ფეხსაცმლის შეკეთების და სხვა საჭირო მანქანების გამოშვება. არსებითად გაუმჯობესდება საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საწარმოთა მომარაგება მასალებითა და ქიმიკატებით. ამ საწარმოთა მშენებლობისა და ტექნიკური

ადჭურვისათვის გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებანი.

საქართველოში 1965 წელთან შედარებით 1966 წელს საყოფაცხოვრებო მომსახურება 2,1 მილიონი მანეთით გაიზარდა, 1970 წლისთვის კი მომსახურება 2,7-ჯერ გადიდდება. სამჯერ გაიზრდება ტანსაცმლის ქიმიური წმენდა, ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების რემონტი და სხვა.

1970 წელს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების — კომბინატების, ატელიების, პავილიონების, აბანოების, თეთრეულის რეცხვის, ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და სხვათა რიცხვი 7.100 ერთეულიდან გაიზრდება 10.100 ერთეულამდე. ხუთწლედში გათვალისწინებულია აგრეთვე ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და თეთრეულის რეცხვის 18 მექანიზებული ფაბრიკის მშენებლობა. თბილისში აშენდება თეთრეულის რეცხვის 2 მექანიზებული ფაბრიკა. ასე რომ, თეთრეულის დარეცხვა დიასახლისისათვის პრობლემა აღარ იქნება. მას შეეძლება შეუფერხებლად დარეცხოს თეთრეული სამრეცხაო ფაბრიკაში.

1966 წლის ბოლოსთვის მწყობრში ჩადგება საყოფაცხოვრებო მომსახურების 300-ზე მეტი ობიექტი. რეკონსტრუირებულ იქნა მთელი რიგი მსხვილი ობიექტები: აბანო-სამრეცხაოები, საპარიკმახეროები, ბევრი რამ გაკეთდა ტელევიზორების, რადიომიმღებების დ საყოფაცხოვრებო მომსახურების რთული ტექნიკის შეკეთების დარგში.

ჩქარი ტემპით ინერგება მომსახურების ახალი ფორმები და დარგები, რომლებიც დიდად შეამსუბუქებს ქალის შრომას ოჯახში. მაგალითად, რესპუბლიკის უკვე ხუთ ქალაქში მოწყობილია თვითმომსახურების სამრეცხაოები: ქალი მიიტანს, თვითონვე სწრაფად დარეცხავს თეთრეულს სპეციალურ მანქანებში და უკან წაიღებს. რეცხვის მეთოდიც, ალბათ, ძალიან მოეწონებათ ჩვენს ქალებს, ასეთი სამრეცხაოების რიცხვი ყოველწლიურად გაიზრდება და ხუთწლედის ბოლოს ყოველ ქალაქსა და დაბაში იქნება.

შეიქმნა და მომავალში სწრაფი ტემპით განვითარდება კეთილმომსახურების ბიუროები. ეს ბიუროები მშრომელებს შინ გაუწევენ მომსახურებას, როგორიც არის: ბავშვისა და ავადმყოფის მოვლა, ბინის დალაგება, იატაკის გაწმენდა, მასწავლებლების ბინაზე მისვლა (უცხო ენაში, მუსიკაში და სხვა საგნებში).

1967 წლისათვის განზრახულია შეიქმნას საოჯახო სამზარეულო, რომელიც ყოველნაირად მოემსახურება მშრომელებს, იქიდანვე შეიძლება მზარეულების შინ მიწვევა კერძების დასამზადებლად.

სამკერვალო ატელიებში (დიასახლისს რომ ბევრი სიარული არ დასჭირდეს) მოეწყობა სწრაფი ქიმიური წმენდა.

განზრახულია მოეწყოს სალონი — „შეიკერეთ თვითონ“. აქ დიასახლისს საშუალება ექნება გამოაჭრევინოს, მერე კი თვითონ შეიკეროს ტანსაცმელი. შეიქმნება თეთრეულის კერვის ატელიები, სადაც შეკერავენ ზეწრებს, შალითებს, ბალიშისპირებს, ლეიბისპირებს და სხვა. აქამდე ასეთი რამ არ არსებობდა და დიასახლისები, რომლებსაც ამისთვის არ ეცალათ, ან არ ეხერხებოდათ კერვა, გაჭირვებაში იყვნენ.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში მომუშავე ყოველი მუშაკის საპატიო ვალია ანალიზი გაუკეთოს და შეისწავლოს მოსახლეობის მოთხოვნილებები, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს დიასახლისის შრომის შემსუბუქებას.

გვჯერა, რომ ყოველივე, რაც ზემოთ ითქვა, სისრულეში იქნება მოყვანილი.

გვინდა გვჯეროდეს, რომ ჩვენს დიასახლისებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული საზოგადოებრივ შრომაში, ნაწილობრივ მაინც მოეხსნებათ ოჯახის ტვირთი, შეუმსუბუქდებათ ორმაგი შრომა.

ამ სურვილებითა და ოცნებებით ვხვდებით თქვენთან ერთად, ძვირფასო დიასახლისებო, მომავალ 1967 წელს!





**კოსმეტიკა**

# ნაოჭებო, დაიკარგეთ!

ქარი, წვიმა, თოვლი... დარდი, სიცილი, ღელვა... ჩვენ ხშირად დავდივართ მოღუშული, ხშირად ვიცინით, ვხარხარებთ. და მერე, ერთ დღეს მოულოდნელად სარკეში ყურებისას ვამჩნევთ: როგორ დაგვღარვია სახე! და ახალი სადარდებელი გვიჩნდება — რა გზით მოვიშოროთ, ან ცოტა ნაკლებ შესამჩნევი გავხადოთ ეს ნაოჭები?

სწორედ ამ შემთხვევაშია უებარი კოსმეტიკური ნიღბები, რომლებიც სახის კანს წარსულ სინაზეს და ახალგაზრდულ ელფერს უბრუნებს.

კოსმეტიკური ნიღბები არსებობს შემდეგი სახის: კანის დამარბილებელი, ტონუსის ამწევი, ფორების შემავიწროვებელი და სხვა. ჩვენ დღეს იმ ნიღბების შესახებ გიამბობთ, რომელთა დამზადება სახლში იოლად შეგიძლიათ.

მაგრამ, რამდენიმე აუცილებელი პირობა უნდა დაიხსომოთ: ნიღაბის დასამზადებლად საჭირო ყველა კომპონენტი აუცილებლად ახალი და საღი იყოს. ისინი უშუალოდ სახეზე წასმის წინ უნდა შეურიოთ ერთმანეთს. სახე წინასწარ უნდა დაიბანოთ თბილი წყლითა და საპნით. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნიღბის დადების შემდეგ სახე და თავი გაუნძრევლად გეკავოთ. ნიღაბი ფრთხილად უნდა მოიცილოთ, ისე, რომ კანი არ დაიჭიმოს.

სახის კანის ტონუსის ამწევად საფუარის ნიღაბს თვლიან. საფუარი შეიცავს „B“ ჯგუფის ვიტამინებს, რომლებიც ხელს უწყობს ნაოჭების გაშლას. თუ თქვენ მშრალი კანი გაქვთ, საფუარი რძეში ან ანადულარ ზეთში უნდა გახსნათ; ხოლო თუ ცხიმიანი— წყალბადის ზეჟანგის სამპროცენტიან ხსნარში.

დაიმახსოვრეთ ამ ნიღბის დამზადების წესი: 20 გრ პურის საფუარი გახსენით რომელიმე ზემოთნათქვამ სითხეში ისე, რომ არაჟნის სისქე ჰქონდეს. შემდეგ ამ მასას 20 წუთით დაიდებთ შუბლზე, ლოყებზე, ცხვირზე (ქუთუთოებზე ნიღბის დადება არ შეიძლება). პროცედურის შემდეგ სახეზე წაისვით რომელიმე დამარბილებელი მკვებავი კრემი, მაგალითად „ვოსტორგი“, „ლუქსი“, „ალოე“...

ყოველგვარ კანს მოუხდება კვირაში ერთხელ ან ორჯერ ხილისა და ბოსტნეულის (მარწყვის, ხენდროს, ქლიავის, ჭერმის, ატმის, პამიდვრის, სტაფილოს) ნიღაბი. 50 გრ წვენს დაუმატებენ 5-10 წვეთ გლიცერინს და კარგად აურევენ. შემდეგ ბამბის ტამპონით ამ ნარევს ფრთხილად დაიდებენ სახეზე და ოცი წუთის შემდეგ ჩამოიბანენ.

მკვებავი ნიღაბი შეიძლება მოამზადოთ ახალი ხაჭოსგან (25 გრ ხაჭო და ერთი ჩაის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოვზი თხელი თაფლი). პროცედურის ხანგრძლივობა იგივეა. შემდეგ ხავოს ფრთხილად მოიწმინდავთ ბამბის ტამპონითა და თბილი წყლით.

აი, კიდევ ერთი სასარგებლო რეცეპტი ნაოჭების გასაშლელად:

ერთი კვერცხის ცილა კარგად ათქვიფეთ და ნელ-ნელა ჩაუმატეთ 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი. ნიღაბი სახეზე დაიტოვეთ 20 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი მოიბანეთ ანადუღარი ცივი წყლით.

დამარბილებელი და, ამავე დროს, გამათეთრებელი საშუალებაა ლიმონი. ანადუღარ ცივ წყალში საღამოს ჩააწყობთ თხლად დაჭრილ ლიმონს. დილით კი პირს დაიბანთ ამ რბილი, სურნელოვანი ნაყენით.

ახლა გაგაცნობთ ყველაზე პოპულარულ დამარბილებელ ნიღბებს, რომლებიც დაიცავს კანს დაბერებისა და გამოხმობისაგან.

კვერცხის გული კოვზით გაქენით და წაისვით სახეზე (ოღონდ სახე წინასწარ გაწმენდილი უნდა გქონდეთ ზეთისხილის, ატმის ან მზესუმზირის ზეთით). კვერცხის გულს ადვილად მოიცილებთ თბილი წყლით.

არანაკლებ ეფექტურია სამმაგი ნიღაბი: კვერცხის გულის, თაფლისა და ზეთისაგან. 1 კვერცხის გული შეურიეთ 50 გრ თხელ თაფლში და 50 გრ რომელიმე ზეთში.

თუ მშრალი კანი გაქვთ, ეს ნიღაბი კვირაში მხოლოდ ერთხელ შეგიძლიათ გამოიყენოთ.

სამკურნალო თვისებები აქვს თაფლის ნიღაბსაც. 100 გრ თაფლი და 50 გრ არაყი კარგად შეურიეთ ერთმანეთს. დაიდეთ სახეზე მხოლოდ 10 წუთით.

პროცედურის დროს აკრძალულია ყოველგვარი მიმიკა: უნებლიე მოძრაობასაც კი შეუძლია ზიანი მიაყენოს სახეს.

რამდენიმე სიტყვა არაყის ნიღაბზეც. ის ერთდროულად მკვებავიცაა, ტონუსის ამწევიც და გამათეთრებელიც. ამ ნიღბის მასალა შეგიძლიათ რამდენიმე კვირის განმავლობაშიც შეინახოთ მაცივარში ან ფანჯრის რაფებს შორის.

100 გრ არაყანში შეურიეთ და გაქენით ორი კვერცხის გული. დაუმატეთ 25 გრ არაყი ან ერთი ლიმონის წვენი. წაისვით სახეზე 15-20 წუთით.

სახეზე და ყელზე ნაოჭების გასასწორებლად ჩვენს ქალებს ძალიან უყვართ ცილის ნიღაბი. მისი გაკეთება ძალიან იოლია: კარგად ათქვეფილ ცილას ისვამენ იმ ადგილებზე, სადაც ნაოჭებია გაჩენილი ან ფორებია ძალიან გაგანიერებული. ხუთი წუთის შემდეგ წაისვამენ მეორე ფენას. როცა ეს ფენაც შეხმება, ნიღაბს მოიბანენ ანადუღარი წყლით და თითებით ფრთხილად შეიტკეპნიან რომელიმე მკვებავ კრემს. ეს პროცედურა უნდა გაიმეოროთ კვირაში ორჯერ.

გახსოვდეთ, რომ ახალგაზრდობის შენარჩუნება დიდხანს შეიძლება, თუ თვითონ იზრუნებთ თქვენი სახის სილამაზეზე.

**პ. ჩერნოვა,**
ექიმი-კოსმეტოლოგი.

# ტარანტელა



## მოდის სიახლენი



**სადა და, ამავე დროს, ელეგანტურ ვარცხნილობას გვთავაზობენ მიმდინარე სეზონისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარიკმახერები. ეს ვარცხნილობა მოკლე თმისთვისაა, ეფექტურია და სხვადასხვა ვარიაციებით შეიძლება გაკეთდეს — ეს უკვე სპეციალისტის გემოვნებასა და ქალის სახის ტიპზეა დამოკიდებული. ვარცხნილობის ავტორია პარიკმახერი კურტ მიულერი, რომელმაც თავის გამოგონებას პოეტური სახელწოდება მისცა „ტარანტელა".**

**ახალ ვარცხნილობას ერთი დამახასიათებელი თვისება აქვს: აქ თმა მკვეთრადაა გაყოფილი ოთხ ნაწილად: ჩოლკა, კარგა მოზრდილი კულულები საფეთქლებთან, ოდნავ აწეული თმა თხემზე და შესამჩნევად და-**



ბალი — კეფაზეც. თხემზე თმის სიგრძე უდრის 8-10 სანტიმეტრს. ჩოლკის სიგრძე 10-12 სმ, ხოლო გვერდითი თმებისა — 6-8 სმ. კეფაზე თმა თანდათან მცირდება.

„ტარანტელა“ მხოლოდ და მხოლოდ სამართებლით უნდა გაკეთდეს. ჯერ თმა გაიყოფა ოთხად: თხემის შუა წერტილიდან







გაავლებთ ოთხ ხაზს — ორს საფეთქლებისაკენ და კიდევ ორს — ყურებს უკან. ამის შემდეგ უკვე შეიძლება თმას, სადაც რა სიგრძეა საჭირო, ის მიეცეს. თმას ნაწილ-ნაწილად კვეცავენ სამართებლით. კეფაზე თმის დამუშავებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. აქ თმა ისე იკვეცება, რომ ბოლოს, კისერთან ოვალური ან წამახვილებული ფორმა ეძლევა.

ახლა თმის დახვევის შესახებ. გვერდებზე ერთი ფართო ტალღის გაკეთება სულ იოლი საქმეა. მაგრამ თხემზე თმა ოდნავ უნდა აიწიოს. ამისათვის კი საჭიროა თხემზე თმა დავახვიოთ გვერდებზე დახვეული თმის პერპენდიკულარულად.

როცა თმას ბიგუდზე ახვევთ, ერთი ბიგუდი მარჯვნივ გადაატრიალეთ, მეორე კი — მარცხნივ. კეფაზე თმა ქვემოთკენ დაახვიეთ.

როცა თმა გაშრება, წინასწარ დასახული ხაზების მიხედვით ჯაგრისით კარგად დაივარცხნეთ.

ნახატებზე ნაჩვენებია, როგორ უნდა გაიკეთოთ ბიგუდი. ამ სურათებზე მოცემულია „ტარანტელას“ ორი ვარიანტი.









# დიდ ადამიანთა უცნაურობანი

ბრამსი იყო თუ არ იყო საჭირო, ნიადაგ თავის ფეხსაცმელებს აპრიალებდა და ამტკიცებდა, სწორედ ამ წუთებში მებადება ჩემი საუკეთესო მელოდიებიო.

მეიერბერი მატარებელში ჯდებოდა და მიემგზავრებოდა, სულერთია, სად, რადგან ვაგონში უფრო ადვილად ქმნიდა მუსიკას.

ლისტი ყოველი ნაწარმოების დამთავრებისას თავს მძიმე ავადმყოფად გრძნობდა.

ბეთჰოვენს სწამდა, რომ წვერის პარსვა შემოქმედებით წარმატებას უფრთხობდა და დიდხნობით დადიოდა გაუპარსავი.

გოეთე მუშაობდა მხოლოდ ყოველი მხრიდან ჩაკეტილ ოთახში, სადაც არ აღწევდა არავითარი ხმა და სუფთა ჰაერიც კი.

ჯონ სტიუარტ მილი ხელნაწერზე მუშაობისას მეზობელ ოთახში გადიოდა ციმბალებზე დასაკრავად.

დიკენსი ყოველი ორმოცდაათი სტრიქონის დაწერის შემდეგ სვამდა ერთ ჭიქა ცხელ წყალს.

ბაირონი სამუშაოდ რომ ჯდებოდა, გულდასმით ამოწმებდა, ხომ არ იდგა სადმე ახლომახლო სამარილე. რადგან მას მარილის მხოლოდ დანახვაც კი ცროფს გვრიდა.

ბალზაკი გენიალური ადამიანისადმი უღრმესი მოწიწების ნიშნად ქუდს იხდიდა, როცა ლაპარაკობდა... თავის თავზე.

ფრანკლინი სამუშაოდ რომ ემზადებოდა, პურს და ყველს იმარაგებდა — „გონებრივი დანახარჯის ასანაზღაურებლად“.

ნაპოლეონი უსინდისოდ თაღლითობდა ბანქოს თამაშისას.

გარეკანის პირველ გვერდზე — „ქალიშვილი თხილამურებით“. ფოტო დ. იაკობაშვილის. გარეკანის მეოთხე გვერდზე — „ზამთარი“, მხატვარი ელენე ახვლედიანი.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჭავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/XII-66 წ. 1966 წ. ქაღალდის ზომა 60×92, ტირაჟი 70.000, შეკვ. № 3603 უე 03384 ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი წელი მოაბიჯებს დედამიწაზე

რუსეთში ახალი წელთაღრიცხვა პეტრე პირველის 1699 წლის 15 სექტემბრის ბრძანებით იქნა შემოღებული. ახალი წელი სხვადასხვა დროს დგებოდა. მაგალითად, როცა პეტრეს ბრძანება იცემოდა, იდგა... 7208 წელი ე. ი. „ქვეყნიერების დაარსებიდან" იმ კალენდარის მიხედვით ახალი წელი დგებოდა ხან 1 სექტემბერს, ხან 1 მარტს.

პეტრე პირველის ბრძანებაში მითითებული იყო, როგორ უნდა შეხვედროდნენ რუსები ახალ წელს „კეთილის დასაწყისის აღსანიშნავად იწყება ახალი ერა ასწლობით ნამეფებ ქალაქ მოსკოვში". 1700 წლის 1 იანვრის ღამეს წითელ და სხვა მოედნებზე, ქუჩებში, წარჩინებულ დიდებულთა, „სამხედრო და სავაჭრო თანამდებობის პირთა" ეზოებში მოეწყოს „ცეცხლიანი გასართობები". მცირე ზარბაზნებიდან და შაშხანებიდან მიცემულ იქნას სამი სალუტი, გაიშვას რამდენიმე რაკეტი, „რამდენიც ვინმეს მოეპოვება". კოცონები დაინთოს შეშის, ჩალის, ბურბუშელის და ძველი ხის კასრებისაგან. „ჭიშკრები მოირთოს — ფიჭვის, ღვიის და ნაძვის ტოტებით". ადამიანები ვალდებული იყვნენ ერთმანეთისათვის მიელოცათ ახალი წელი.

1700 წლის ახალი წლის მოსკოვის ბნელი ღამე გაანათეს რაკეტებმა. პირველი თვით მეფის მიერ იყო გაშვებული. რეკავდნენ ყველა საყდრის ზარები. დაინთო კოცონები. მდინარე მოსკოვის ნაპირებზე ჩამწკრივდა ათასნაირი ტკბილეულით დატვირთული ხონჩები...

დიდიხანია დავიწყებას მიეცა პეტრე პირველის ბრძანება (ბევრმა ამის შესახებ არც არაფერი იცის). ახალი წელი კი იანვართან ერთად მოდის ჩვენს სახლებში როგორც მხიარული, ლამაზი და სასურველი ზეიმი.

შეეჩვივნენ მის შეხვედრას წლის დამლევს: დეკემბრის ბოლოს ბინებსა და კლუბებში, საბავშვო სახლებში, სკოლებში და ქალაქის მოედნებზე გაჩირაღდნებულია ნაძვის ხეები, აჭრელებული სხვადასხვა ფერადი მოსართავებით, ბურთულებით, ფანრებით, მძივებით, ტკაცუნებით... რატომ ნაძვის ხე? მორთული სათამაშოებით?

ამ ლამაზმა ჩვეამ ჩვენამდე მოაღწია შორეული წარსულიდან. ადამიანები მაშინ აღმერთებდნენ ხეებს, მასში ხედავდნენ თავიანთი ბედნიერების საწყისს. ამიტომ უფრო აკეთილებდნენ ამ „ღვთაებას": რთავდნენ, მხიარულობდნენ მის გარშემო, აქებდნენ და ადიდებდნენ მას. ზამთარში რუსეთში ფოთლებს და სიმწვანეს ინარჩუნებდნენ მხოლოდ ნაძვი და წიწვიანი ხეები. ამიტომ შემოვიდა წესად ამ მშვენიერი ხის, ნაძვის მორთვა. ძველმა ჩვევებმა დიდი ხანია დაკარგეს თავისი პირველმნიშვნელობა, უმეტესად საეკლესიო მნიშვნელობა, და დღეს, მხოლოდ საახალწლო ზეიმის დასამშვენებლად შემოგვრჩნენ.

ახალი წელი მიაბიჯებს დედამიწაზე. როგორ ხვდებიან სხვადასხვა ხალხები, სხვადასხვა ქვეყნებში? მოვაწყოთ პატარა საახალწლო მოგზაურობა, ვნახოთ ვინ როგორ ხვდება ამ ზეიმს.

დავიწყოთ მზის ამოსვლის ქვეყნიდან — იაპონიიდან. აქ თითქმის ყველა სახლთან ნახავთ ბამბუკის, ფიჭვის და ქლიავის ხის ტოტებს. რომ დაფიქრდებით, უმალ გასაგები გახდება, რას უსურვებენ ამ სახლის პატრონები თავიანთ თავს და ოჯახს: პირველი ხე ცნობილია გამძლეობით, მეორე — მრავალწლოვანებით, მესამე ჩქარი ზრდით. რატომ აქვთ გაჭიმული თოკზე ჩალა და ქაღალდის თეთრი ნაჭრები? ამაშიც თავისებური აზრია: თუ ცეცხლს წაუკიდებთ ჩალას, მისი ბოლი გაყრის ყველა ბოროტ სულებს; ქაღალდის ნაჭრებზე კი წერია ახალი წლისადმი კეთილი სურვილები.

აღსანიშნავია ისიც, რომ იაპონელები ახალ წელს ხვდებიან მზის ამოსვლისას.

რუმინეთში ახალწლის მაგიდაზე მოაქვთ განსაკუთრებული ღვეზლები — სიურპრიზებით: მათში გამომცხვარია პატარა მონეტები, ფაიფურის თოჯინები, ბეჭდები, წითელი წიწაკა. ასეთი ნამცხვარი ფრთხილად უნდა ჭამოთ. კარგია, თუ შენს ღვეზელის ნაჭერში აღმოჩნდება ბეჭედი: ეს ახალ წელიწადს მოგიტანს ბედნიერებას. თუ წიწაკაა, — გელოდება ცრემლები.

ბულგარელების სახლებში, როგორც კი დარეკავს საათი თორმეტს, შუქი ქრება და საზეიმოდ მორთული ხალხი ერთმანეთს კოცნის. დილით კი ბავშვები ტოლებს და დიდებსაც შეხვედრისთანავე არტყამენ შვინდის ჯოხს. ასეთი წესია აქ საახალწლო მილოცვისას.

ისლანდიელები ნაძვის ხის გარშემო მღერიან ძველ სიმღერებს. მაგიდაზე ულაგიათ ძველი თაფლით სავსე კათხები — ტრადიციული სასმელი, რომელსაც ყანწებით სვამენ. სხვათაშორის, ნაძვის ხე აქ ჩამოაქვთ ნორვეგიიდან და დანიიდან.

საფრანგეთში შეიძლება ნახოთ შეჯგუფებული გლეხები, რომლებიც საინზე დაკვირვებით რაღაცას აშტერდებიან. საკითხავია რა იპოვეს ასე საინტერესო.

—რას აკეთებთ? — შეეკითხებით გლეხებს.

— ვუყურებთ, რა მოგველის მომავალში.

თურმე, 4 დეკემბერს ღამით საინზე მიწას ყრიან და მასში თესავენ ხორბალს. ახლადამოსული მცენარის მიხედვით ცდილობენ მომავალი მოსავლის გამოცნობას.

პლანეტაზე უკვე დაიარება ახალი წელი. მალე, სულ მალე ისე მოვა ყველა სახლში. მსოფლიოს ხალხები ამ უძველეს დღესასწაულს თავისებურად ხვდებიან. მაგრამ ყველგან აუცილებლად წარმოითქმება საახალწლო სადღეგრძელოები.

— გილოცავთ ახალ წელს, მეგობრებო: ძმებო, ძვირფასო ქალებო, დედებო!



ИНДЕКС 76178

ბ 132/1

ეროვნული ბიბლიოთეკა

